ᲞᲘᲠᲥᲘ

№48-49 (10.054)
24-31 დეკემბერი 2022

ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝ

ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲤᲐᲡᲘ: 60 ᲗᲗᲘᲗᲠᲘ
ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲐᲮᲐᲚ 2023 ᲬᲚᲡ!

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ!

23 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡᲐᲪ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ 2023 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲔᲓᲐ.

ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲞᲐᲞᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲣᲫᲦᲕᲔᲒᲓᲐ.

ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ 2023 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲮᲛᲐᲣᲠᲘᲗ ᲬᲐᲠᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲛᲐ ᲤᲠᲗᲐᲛ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲐᲛᲧᲐᲠᲐ.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲐᲦᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲨᲘᲪ ᲓᲐ ᲠᲔᲒᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ 87-Ე ᲛᲣᲮᲚᲨᲘᲪ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘᲐ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲘᲯᲜᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲡ ᲙᲔᲜᲭᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲣᲮᲚᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ. ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲐᲛ ᲬᲔᲡᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲘᲒᲜᲝᲠᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝ ᲓᲐ ᲔᲭᲕᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲐᲠᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲐ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ�გᲐᲜ ᲗᲐᲕᲡ ᲨᲔᲘᲙᲐᲕᲔᲑᲡ“-�გᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ „ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲑᲝᲘᲙᲝᲢᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ: „ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲔᲜ ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲘ, ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲔᲜ ᲙᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲔᲑᲘ, ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲔᲜ ᲛᲘᲣᲦᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲖᲔᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲝ�გᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ. ᲩᲕᲔᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲨᲔᲕᲘᲡ�წᲐᲕᲚᲔᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ �გᲐᲕᲐᲙᲔ�თᲔᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲖᲔ, ᲛᲐᲗ ᲐᲦᲖᲠᲓᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲖᲔ, ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲤᲣᲚᲘ ᲘᲮᲐᲠᲯᲔᲑᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲖᲔ. ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲕᲔ�თᲐ ᲝᲗᲮᲘ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ: ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ 1000 ᲑᲐᲕᲨᲕᲐᲛᲓᲔ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐ ᲐᲙᲘᲡᲠᲘᲐ; ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ 550 ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲡ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ, ᲐᲡᲔᲕᲔᲐ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ, 230 ᲑᲐᲕᲨᲕᲖᲔ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ; ᲰᲐᲛᲚᲔᲢ �გᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ �გᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 20-25 ᲑᲐᲕᲨᲕᲡ ᲘᲗᲕᲚᲘᲡ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲓᲐᲛᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲐ �გᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲛᲐ �გᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲔᲑᲛᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲗᲘ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲪᲓᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲰᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ ᲩᲐᲕᲐᲢᲐᲠᲔᲗ, ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲘᲮᲐᲠᲯᲔᲑᲐ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ, 550 ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲜᲢᲘ�გᲔᲜᲢᲘ ᲠᲝᲛ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲡ ᲓᲐ ᲰᲧᲐᲕᲡ 48 �თᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ, ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ �თᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲓᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲐ�გᲔᲑᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘᲗ. �გᲐᲛᲝᲓᲘᲡ, ᲠᲝᲛ 48 �თᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔ ᲛᲝᲓᲘᲡ 550 ᲑᲐᲕᲨᲕᲘ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ 20 ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘᲐ, ᲐᲜᲣ, ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲛᲝᲮᲔᲚᲔ 10-11 ᲑᲐᲕᲨᲕᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ. ᲡᲐᲓᲐᲪ ᲔᲠᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲖᲔ ᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲘᲮᲐᲠᲯᲔᲑᲐ 736 ᲚᲐᲠᲘ.

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 230-ᲛᲓᲔ ᲑᲐᲕᲨᲕᲡ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ, 25 ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲰᲧᲐᲕᲗ. ᲛᲐᲠᲗᲘᲕᲘ �გᲐᲛᲝᲗᲕᲚᲔᲑᲘᲗ, ᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ 8 ᲑᲐᲕᲨᲕᲡ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ. ᲔᲠᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲖᲔ ᲩᲕᲔᲜ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲓᲐᲜ ᲕᲮᲐᲠᲯᲐᲕᲗ 782 ᲚᲐᲠᲡ.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲐ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲔᲑᲘ- ᲘᲡᲘᲜᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲛᲡᲣᲧᲔᲓ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲐ. ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲑᲐᲦᲔᲑᲘ 1000-ᲛᲓᲔ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲔ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲛᲨᲘ 250 ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲡ ᲘᲗᲕᲚᲘᲡ. ᲐᲥ ᲨᲔᲓᲘᲐᲜ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔ-ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ �თᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲗᲕᲚᲘᲗ, ᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ 4 ᲑᲐᲕᲨᲡ ᲣᲕᲚᲘᲡ. ᲔᲠᲗ ᲑᲐᲕᲨᲖᲔ ᲙᲘ ᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲘᲮᲐᲠᲯᲔᲑᲐ 2450ᲚᲐᲠᲘ. ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ �წᲘᲜᲐ ᲬᲚᲔᲑᲨᲘᲪ �გᲕᲥᲝᲜᲓᲐ �გᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ. ᲰᲐᲛᲚᲔᲢ �გᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ �გᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲡ 12-13 ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ, 2021 ᲬᲔᲚᲡ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ 23 ᲑᲐᲕᲨᲘ, 2022 ᲬᲔᲚᲡ -25-ᲛᲓᲔ ᲓᲐᲒᲔ�გᲛᲘᲚᲘ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ 30 ᲑᲐᲕᲨᲕᲐᲛᲓᲔ �გᲐᲖᲠᲓᲘᲐᲜ. ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲓ, 25 ᲑᲐᲕᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲕᲘᲦᲝᲗ, ᲔᲠᲗ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲖᲔ ᲛᲝᲓᲘᲡ 2 ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ, ᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲕᲐᲩᲘᲜᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ, 2023 ᲬᲔᲚᲡ �გᲐᲝᲠᲛᲐ�გᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲗᲘ, ᲔᲠᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲖᲔ ᲣᲙᲕᲔ ᲮᲐᲠᲯᲐᲕᲡ 4000 ᲚᲐᲠᲡ.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ: ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲗᲝᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲖᲔ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲪᲘᲐᲠᲖᲔ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲕᲮᲐᲠᲯᲐᲕᲗ ᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ 1457 ᲚᲐᲠᲡ , ᲛᲐᲨᲘᲜ ᲠᲝᲪᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲙᲔᲢᲘ �გᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲠᲐᲦᲐᲪ 23 000 ᲚᲐᲠᲘᲗ, ᲐᲜᲣ 3-4%-ᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜ ᲕᲘᲦᲔᲑᲗ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲐᲓ ᲰᲐᲛᲚᲔᲢ �გᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ 100%-ᲘᲐᲜᲘ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲗᲘᲗᲝ ᲑᲐᲕᲨᲕᲖᲔ ᲕᲮᲐᲠᲯᲐᲕᲗ 4000 ᲚᲐᲠᲡ, ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲘᲜᲓᲕᲘᲐ“- ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲐᲦᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲫᲘᲜᲐ:

„ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲕᲘᲢᲧᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲗᲣ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲕᲘᲪᲐᲕᲗ ᲠᲔ�გᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ 87-Ე ᲛᲣᲮᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲔᲑᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲛᲣᲮᲚᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲔᲑᲨᲘᲪ ᲓᲐ ᲓᲔᲑᲐᲢᲔᲑᲨᲘᲪ ᲓᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲣᲭᲔᲠᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ ᲛᲮᲐᲠᲡ, ᲓᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲬᲐᲕᲐ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲘ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲗᲣ ᲙᲔᲜᲭᲘᲡᲧᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲣᲚ ᲠᲔᲟᲘᲛᲨᲘ, ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲗ, ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲙᲔᲜᲭᲘᲡᲧᲠᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲑᲗ“.

ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ �გᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲗᲘᲗ ᲙᲘ, ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲡ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲔᲧᲐᲠᲐ �კᲔᲜᲭᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲑᲝᲘᲙᲝᲢᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲘᲛ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ 2023 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲨᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲡ�წᲝᲠᲐᲓᲐᲐ ᲨᲔᲠᲩᲔᲣᲚᲘ, ᲠᲐᲖᲔᲪ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲘᲧᲝ “ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ” ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘᲪ ᲐᲡᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ.

ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ �გᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲡ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲘᲗ �გᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ.

„ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ 2022 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ 2021 ᲬᲚᲘᲡ 17 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ №18 ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ.

„ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ 2022 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ 2021 ᲬᲚᲘᲡ 17 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ №21 ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ.

ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ 2023 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ �გᲐᲘᲠᲙᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲐᲛ ᲛᲣᲮᲚᲘᲡ 23 000 ᲚᲐᲠᲘᲗ �გᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲝᲠ�გᲐᲜᲝᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲐ.

,,ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘᲡ - ᲨᲘᲓᲐ ᲐᲣᲓᲘᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ".

,,ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲨᲘ (Ს.Კ 52.05.32.134), ᲡᲝᲤᲔᲚ ᲥᲕᲔᲛᲝ ᲥᲔᲓᲨᲘ, ᲡᲝᲤᲔᲚ ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲨᲘ, ᲡᲝᲤᲔᲚ ᲖᲔᲛᲝ ᲛᲐᲩᲮᲐᲐᲜᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲣᲫᲠᲐᲕᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲡᲐᲡᲧᲘᲓᲚᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ

/ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-3 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ/

წლის შემაჯამებელი სხდომა გუბერნატორთან

23 დეკემბერს თელავში, გუბერნიის შენობაში კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის, გიორგი ალადაშვილის ხელმძღვანელობით კახეთის რეგიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების ხელმძღვანელებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

თათბირზე მუნიციპალიტეტების მიხედვით შეაჯამეს 2022 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები, განიხილეს მიმდინარე საახალწლო სამზადისი და 2023 წლის სამოქმედო გეგმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ქვეყნის მასშტაბით, ახალი წლის დღეების საზეიმოდ აღნიშვნა იწყება. კახეთის რეგიონის რვავე ქალაქი განახლებული საახალწლო ინფრასტრუქტურით არის მორთული. ახალი წლის დღეების გრანდიოზული ღონისძიებები 25 დეკემბერს ყვარლის მუნიციპალიტეტიდან იწყება და შობის დღესასწაულზე გურჯაანის მუნიციპალიტეტში დასრულდება.

ამას გარდა, გიორგი ალადაშვილის ხელმძღვანელობით, კახეთის რეგიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების საკრებულოების თავმჯდომარეებთან და მერებთან საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა.

სხდომაზე რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსმა, ნათია ტატიშვილმა რეგიონულ ჭრილში დეტალური პრეზენტაცია წარადგინა 2022 წელს, კახეთში განხორციელებული პროექტების შესახებ.

16 დეკემბერს გამართულ საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე, განიხილეს 2023 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი პროექტები და 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმა.

საბჭოს სხდომაზე, ასევე, იმსჯელეს დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროექტებში მუნიციპალიტეტების მონაწილეობის შესაძლებლობებზე. კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში, მერებთან გამართულ სამუშაო თათბირს კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები ესწრებოდნენ.

იანვრიდან დედოფლისწყაროს კიდევ ერთი დაცული ტერიტორია ექნება

საქართველოს კანონი „ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“, რომელიც პარლამენტმა 2022 წლის 16 ნოემბერს მიიღო, 2023 წლის 1-ელი იანვრიდან ამოქმედდება. ამის შესახებ ვრცელი ინფორმაცია „შირაქმა“ რამდენიმე თვის წინ ექსკლუზიურად გაავრცელა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, პირველი სახელობითი დაცული ტერიტორიის დაარსება უკავშირდება დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოებასა და განვითარებაში და, ზოგადად, ქვეყნის გარემოს დაცვაში ნუგზარ ზაზანაშვილის მიერ შეტანილი უდიდესი წვლილის დაფასებას.

სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის საერთო ფართობი 13 273 ჰექტარს შეადგენს. ქვეყანაში ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის **(IUCN)** კრიტერიუმების მიხედვით პირველი VI კატეგორიის დაცული ტერიტორიის დაარსების ძირითად მიზანს საქართველოში რეინტროდუცირებული ქურციკის **(Gazella subgutturosa)** პოპულაციის აღდ-



გენა, დაცვა და შენარჩუნება წარმოადგენს.

სამუხის ველი მოიცავს ზურმუხტის ქსელის სამუხის ტერიტორიას და წარმოადგენს მნიშვნელოვან საბინადრო გარემოს ფლორისა და ფაუნის იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისთვის. აღნიშნულ ადგილზე დაცული ტერიტორიის დაარსება ხელს შეუწყობს ადგილობრივ, ეროვნულ და ტრანსსასაზღვრო დონეებზე ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას, საქართველოში დაცული ტერიტორიების ქსელის გაძლიერებას, საკვანძო სახეობის დაცვას, მდგრადი ეკოტურიზმის განვითარებას და თუში მეცხვარეების ტრადიციების შენარჩუნებას.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან ერთად, სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნაზე მუშაობა 2019 წელს, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის **(WWF)** მხარდაჭერით დაიწყო.

რეზო ინანიშვილის სახლ-მუზეუმი გაიხსნა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში, ცნობილი ქართველი მწერლის, რევაზ ინანიშვილის ახლად რეაბილიტირებული სახლ-მუზეუმი საზეიმოდ გაიხსნა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ - კახეთის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი, ავთანდილ გულიკაშვილი, ოჯახის წევრები და მწერალთა კავშირის წარმომადგენლები.

მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, სახლმუზეუმის აღდგენითი სამუშაოები ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან 165 243 ლარით დაფინანსდა.

შენობა რესტავრირებული ინვენტარით აღჭურვა.

დღეიდან, ვიზიტორებს საშუალება ექნებათ კიდევ უფრო ახლოს გაეცნონ მწერლის შემოქმედებას და მისი პირადი ნივთები მოინახულონ.

რევაზ ინანიშვილი დაიბადა 1926 წელს 20 დეკემბერს, საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში, მოსამსახურის ოჯახში. ხუთი კლასი დაამთავრა მშობლიურ სოფელში. 1937 წელს ოჯახთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ომის წლებში, 1943–45–ში მუშაობდა 31-ე ქარხანაში. აქედან გადავიდა სასწავლებლად საავიაციო ტექნიკუმში. ეს სასწავლებელი არ დაუმთავრებია.

1947წ. წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე 1949 წელს უნივერსიტეტი მიატოვა დის ოჯახის სიდუხჭირი გამო, იმავე

წელს მუშაობა დაიწყო სამგორის არხის მშენებლობაზე.

1951 წელს დაბრუნდა უნივერსიტეტში და დაამთავრა 1956 წელს. 1952 წელს დაოჯახდა და ოთხი წელი ცხოვრობდა ლიტერატურული შრომით. 1960 წელს მუშაობა დაიწყო საბავშვო გამომცემლობა "ნაკადულში".

1966 წელს გადავიდა კინოსტუდია "ქართულ ფილმში" სასცენარო განყოფილებაში, 1985-1988 წლებში მუშაობდა მწერალთა კავშირის მდივნად. 1989 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (1991) მუშაობდა ჟურნალ "დილის" რედაქტორად.

პირველი მოთხრობა დაიბეჭდა 1950 წელს. პირველი წიგნი გამოვიდა 1953 წელს. 1977 წელს წიგნისათვის "შორი თეთრი მწვერვალი" მიენიჭა რუსთაველის სახეობის პრემია. 1980 წელს კინოფილმმა — "ქვიშანი დარჩებიან" სცენარისთვის, მინისტრთა საბჭოს პრემია "ხუთწლედის მატიანე" მიენიჭა.

გამოცემული აქვს მრავალი წიგნი. მისი სცენარების მიხედვით, გადაღებულია ფილმები: "ნატვრის ხე" ლეონიძის მოთხრობის მოხედვით, "ქვიშანი დაერჩებიან", "არდადეგები", "დედუნა" "ჩირიკი და ჩიკოტელა", "კაცები"...

მისი ნოველები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, გერმანულ, ბულგარულ, სომხურ... ენებზე.

გარდაიცვალა 1991 წელს 26 დეკემბერს, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ცოტა რამ დიდ ადამიანზე

ერთი ხევსური ხმითმატირალი ასე მიმართავს უდროოდ წასულ კაი ყმას:

შენ შენფერნ გინდან მატირალნიო,
შენის კაცობის დამფასავნიო,
წვიმათოდენნი გინდან ცრემლნიო,
სამკვლავოდენნი სათვალავნიო.

მე არ ვიცი, საერთოდ როგორ მუშაობდა რეზო, ის კი მახსოვს, რომ თავის ერთ-ერთ საბავშვო მოთხრობას საჯარო ბიბლიოთეკაში წერდა. წერდა ფანქრით. მეორეჯერ გადაკითხვისას ზოგ სიტყვას ჩააჟინდებოდა, ბოლოს უკეთესს მოძებნიდა, ძველს ამოშლიდა და ახალს ჩაწერდა. იქვე ვიჯექი და ამას ყველაფერს ვხედავდი. არც არაფერს მალავდა: მუშაობდა, ისე უტრიალებდა ამ თავის საქმეს, როგორც კარგი მევენახე ვაზს. რეზო საკმაოდ კარგად ხატავდა, ლექსის წერა კი არ ეხერხებოდა. ის საბავშვო მოთხრობა ხევსურზე იწერებოდა, და როცა რამდენიმე სტრიქონი უბრალო ლექსი დასჭირდა, მე დამაწერინა... შატილშიაც ერთად ვიმგზავრეთ. იმ მგზავრობის შემდეგ დაიწერა "ჩაჩაურის წასვლა".

რეზოს "მყვირალა" თემები არ უყვარდა, მაგრამ სრულიად უმნიშვნელო ამბავს ისე ააჟღერებდა, რომ ყველას ყურადღებას მიიპყრობდა. ჩაჩაურის (სახელი, რა თქმა უნდა, შეცვლილია) "წასვლას" მე თვითონ... ვესწრებოდი და მე ვუამბე რეზოს. ჩემთვის იქ მხოლოდ ის იყო დიდებული და ამაღლებული, რომ კაცმა სიკვდილის წინ თვითკონტროლის უნარი შეინარჩუნა, "კარგად სიკვდილის" სიკვდილის სურვილი გაამჟღავნა. რეზომ ამ ამბავს სხვაგვარი ჟღერადობა მისცა, სხვა გმირებიც (მათ შორის — ბავშვებიც) შემოიყვანა და ბრწყინვალე მოთხრობა დაწერა.

ერთხელ გამომცემლობა "ნაკადულში" მივედი ჰონორარის ასაღებად. ფული არ აღმოაჩნდათ. პოეტ მინდია არაბულთან ვლაპარაკობდი კორიდორში. გამოჩნდა რეზო. მოვიკითხეთ ერთმანეთი. ჩემი მისვლის მიზეზი რომ გაიგო, ჰონორარი არ არი, მგონი, იმდენი ფული კი მიდევს ჯიბეში, რომ ერთ-ერთი საათი რესტორანში თავი შევიქციოთ — ბრძანა რეზომ. ჩვენ უარი ვთქვით რესტორანზე. ერთი ხომ მე დაგითმეთ, მეორე თქვენ უნდა დამითმოთ: სახლში კარგი ღვინო მაქვს, გავიაროთ ბაზარში, ცოტა რამ სურსათს ავიღებ და ჩვენსა ვისადილოთო. დაგვიყოლია. მართლა სასიამოვნო დრო გავატარეთ, გვიანღამემდე ვისხედით. მეორე დილით პიჯაკის ჯიბეში ასი მანეთი აღმომაჩნდა. რა მიხვედრა უნდოდა: ბატონმა რეზომ იფიქრა, ეგება ფული არა აქვთ სახლშიო და ჩუმად ჩადო ჩემი პიჯაკის ჯიბეში ასი მანეთი. ასი მანეთი მაშინ კარგი ფული გახლდათ, - ოჯახს რამდენიმე დღე შეინახავდი.

ერთხელ რეზოს ვუთხარი ძველ ქართულ ხელნაწერში ამოკითხული ერთი ბრძნული ფრაზა: "ძაღლი, რომელი ჰლოკდეს ქლიბსა, თვისისა სისხლისაგან სუამს". ძალიან მოეწონა: რა კარგად იცოდნენ ხოლმე დალოცვილებმა თქმაო.

რეზოს რომ უკანასკნელ გზაზე მივაცილებდით, ეს ფრაზა ამეკვიატდა: რუსთაველზე ქართველები ქართველებს ხოცავდნენ. მტერმა თავისუფლების წყურვილის მოსაკლავად ქლიბი მოგვიგდო და ჩვენც ხარბად ვლოკავდით ამ ქლიბ სატყუარას. ვფიქრობდი იმ დიდ ტკივილზე, რაც რეზომ წაიყოლა "მართალთა საიქიოში".

ამასწინათ ოთარ ჭილაძის წერილი რომ წავიკითხე "ლიტერატურულ საქართველოში" რევაზ ინანიშვილის საფლავის მოუვლელობის თაობაზე, მაშინვე რეზოს მიერ კახეთში გაგონილი და ჩემთვის ნაამბობი ერთი ლეგენდა გამახსენდა: შაჰ-აბაზმა თვითონ კახელებს გააჩეხინა და ამოაძირკვინა ვენახები. ბრძანება გასცა: ვის ვენახშიაც თუნდაც ერთ ძირ ვაზს აღმოაჩენთ, ვენახის პატრონს თავი მოჰკვეთეთო. ერთ-ერთი გლეხის ვენახში მართლა ნახეს ერთი ძირი შემთხვევით ჩარჩენილი ვაზი; პატრონი საჯაროდ დასაჯეს, თავი მოჰკვეთეს და სახელდახელოდ გათხრილ მიწაში ჩააგდეს. იმ საფლავზე მეორე წელლს ვაზის რქამ ამოიყარა: თურმე დასჯილ კახელ გლეხს ხალათის სალილეებში ვაზის ლერწი ჰქონდა გაყრილ-გამოყრილი და ის ამოზრდილიყო... მაშინ რომ ვკითხე, ეგ ლეგენდა არსად გამოგიყენებია-მეთქი? მიპასუხა: ამას რაღა დაწერა უნდა, ეს ხომ თავისთავად ლამაზიაო. არც შემდეგ შემხვედრია რეზოს ნაწერებში ეს ქართული და მართლაც, ლამაზი ლეგენდა.

რეზო ინანიშვილი თვითონ ჰგავდა ფესვმდგარ და ღონიერ ვაზს – ქართული სიტყვის მადლითა და სიბრძნით იყო დახუნძლული.

იხსენებს
ალექსი ჭინჭარაული

მთავარი ფინანსური დოკუმენტი დამტკიცდა

/პირველი გვერდიდან/

საკრებულოს 2022 წლის 30 სექტემბრის №23 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“-თვის სარგებლობის უფლებით, ორი წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N 1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მალხაზ მერაბიშვილი, **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე:** „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა ძალიან მნიშვნელოვანია. ხუთწლიანი გეგმის ფარგლებში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ნარჩენების სეპარაცია ცოტა რთული აღმოჩნდა, ამიტომ მომავალი წლის გეგმაში გადავა. გეგმის დანარჩენი, თითქმის ყველა ნაწილი, რაც უნდა შეესრულებინა ჩვენს მუნიციპალიტეტს, ფაქტობრივად, შესრულებულია. წელს ამ გეგმაში იყო გათვალისწინებული 500 ერთეული კონტეინერის ყიდვა. ისინი უკვე შეძენილია, მუნიციპალიტეტშია მოტანილი და დასაწყობებული.

2023 წელში მოგვიწევს ახალი გეგმის დამტკიცება, ეს იქნება უფრო მსხვილმასშტაბიანი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს დამატებითი ნაგავმზიდი მანქანების შეძენას, რათა დამატებითი რესურსი შეიქმნას. მანქანების ნაწილი უკვე ამორტიზებულია და შეცვლას ექვემდებარება. თან სოფლებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის საკითხი მეტადაა დასახვეწი. დღეს-დღეობით ნაგვის გატანა დედოფლისწყაროს საზღვრისპირა სოფლებში ე.წ. ზარის პრინციპით ხდება, რაც გულისხმობს, რომ კვირაში ორჯერ შედის ნაგავმზიდი და გამოაქვს ნაგავი. შეძენილი კონტეინერების რესურსი უკვე მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ნაგვის კონტეინერები სოფლებში განთავსდეს. ნარჩენების მართვის კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში უნდა მომხდარიყო კონტეინერების განთავსება, მაგრამ მათი ღირებულებიდან გამომდინარე, ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნება იყო. დონორი ორგანიზაციის დახმარებით დედოფლისწყარომ ეს პრობლემა წარმატებით გადაჭრა. გაზაფხულზე უკვე დავდგამთ კონტეინერებს ამ სოფლებში, რაც ნაგვის პრობლემას საბოლოოდ მოაგვარებს“.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენელთა შეფასებით, 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი მოსახლეობაზეა ორიენტირებული და პრიორიტეტს მოზარდი თაობის აღზრდა და დედოფლისწყაროელთა სოციალური დაცვა წარმოადგენს.

ინგა შიოლაშვილი

ჩვენ ვხდებით ელექტროენერგიის მიმწოდებელი ევროპისთვის - რას ნიშნავს საქართველოსთვის შავი ზღვის კაბელის პროექტი

რამდენიმე დღის წინ საქართველომ, რუმინეთმა, აზერბაიჯანმა და უნგრეთმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც შავი ზღვის ფსკერზე ახალი ენერგეტიკული კაბელის მშენებლობას ითვალისწინებს.

პროექტის სავარაუდო ღირებულება 2.3 მილიარდი ევროა. ამასთან, საქართველო კაბელის მშენებლობისთვის შავი ზღვის ფსკერის შესწავლას 20 მლნ დოლარით დააფინანსებს.

როგორც ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს გენერალურმა მდივანმა ზვიად ჭუმბურიძემ "ბიზნეს პალიტრაში“ სტუმრობისას განაცხადა, აღნიშნული პროექტით, საქართველო ევროპისთვის ელექტროენერგიის მიმწოდებელი ხდება, რაც ფაქტობრივად, ნიშნავს, რომ ქვეყანა პოლიტიკურად იქნება ევროკავშირის სივრცის ნაწილი.

„ზოგიერთი სკეპტიკოსი ამბობს, რომ არ გვაქვს საზღვარი ევროკავშირთან. ჩვენ გვაქვს საზღვარი ევროკავშირთან! ეს არის საზღვაო კავშირი, რომელიც პირდაპირ გვაკავშირებს ევროპის სივრცეს. ეს არის უმნიშვნელოვანესი. ისტორიულად ჩვენ ქართველები შავ ზღვას ასე აქტიურად ვერ ვიყენებდით, მაგრამ სწორედ ახლა, 21-ე საუკუნეში დადგა ის პერიოდი, როდესაც უნდა გამოვიყენოთ.

შავი ზღვის კაბელი, რა თქმა უნდა, ეკონომიკურად არის უპირველესი და მომგებიანი საქართველოსთვის, ჩვენ ვხდებით ელექტროენერგიის მიმწოდებელი ევროპისთვის, ჩვენ პარტნიორ ქვეყნებთან ერთად. თუმცა, აქ არის ერთი საკითხი, შენ უკვე პოლიტიკურად ხდები ამ სივრცის ნაწილი, ვინაიდან ელექტროენერგია, კარგად მოგეხსენებათ, ისევ და ისევ არსებული ვითარებიდან გამომდინარე, თუ რა როლს თამაშობს ზოგადად ქვეყნებს შორის დაკავშირებასა და განვითარებაში. შესაბამისად, ელექტროენერგიის მიმწოდებელი ქვეყანა ევროპისთვის ხდება მისი ნაწილი.

აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ამ თემაზე მუშაობა 2017 წელს დავიწყეთ, ეს იყო ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭოს შეთავაზებული ინიციატივა, როგორც სამთავრობო წრეებისთვის, ასევე ჩვენი პარტნიორებისთვის. ევროკავშირში პირველი კონსულტაციები ჩავატარეთ 2018 წელს, ასევე, ვენაში ჩავატარეთ საკმაოდ საინტერესო მიმოხილვა. მაშინ, როდესაც ევროპელები სკეპტიკურად უყურებდნენ, მაგრამ არსებულმა ვითარებამ რადიკალურად შეცვალა რეალური პოლიტიკის საფუძვლები და ნახეთ, რა მოხდა?! დღეს თვითონ ევროკავშირია დაინტერესებული.

ეს იყო „გროს ენერჯი გრუპის“ ინიციატივა, რომელიც არის ჩვენი, ევროკავშირ-საქართველოს საბჭოს წევრი, მათ მიერ შემოთავაზებული იყო ეს პროექტი 2017 წლის გაზაფხულზე, შემდეგ უკვე ჩვენ კომუნიკაცია გვქონდა სამთავრობო წრეებთან, ეკონომიკის სამინისტროსთან, მაშინდელი მთავრობის შემადგენლობასთან, სხვათა შორის, ეს საკითხი ინვესტორთა საბჭოზეც გავიტანეთ და ასე ერთობლივი თანამშრომლობით მოხდა დღეს უკვე ევროპის მხრიდან ამ პროექტით ასე დაინტერესება.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი იყო პირველი ისტორიული პროექტი, რომელმაც პრაქტიკულად, დაარწმუნა ევროპელები, რომ საქართველოს, აზერბაიჯანს აქვს ევროპული კავშირის განვითარების საშუალება, ეს კი უკვე იქნება პირდაპირი კავშირი (პოლიტიკურ განზომილებაში მინდა ავიყვანო) და ელექტრო კაბელი ევროკავშირის ნაწილს გახდის საქართველოს“,- განაცხადა ზვიად ჭუმბურიძემ.

***

ყაზახეთის სახელმწიფო კომპანია „ყაზმუნაიგაზი“ მომავალი წლის იანვარში გერმანიაში ნავთობის საცდელი პარტიის გადაზიდვას განიხილავს. ამის შესახებ კომპანიის მართველი საბჭოს თავმჯდომარემ, მაგზუმ მირზაგალიევმა გერმანიის ეკონომიკისა და კლიმატის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო მდივან მიხაელ კელნერთან მოლაპარაკების შემდეგ განაცხადა, რასაც „კომერსანტი“ ავრცელებს.

მხარეების შეხვედრა ვიდეოკავშირით გაიმართა, თუმცა მირზაგალიევი ასტანაში მყოფ ბუნდესტაგის დეპუტატს, კრისტიან გიორკესაც შეხვდა, რომელიც გერმანიის მემარცხენე პარტიის საპარლამენტო ჯგუფის წევრია. მოლაპარაკებებზე გერმანიის ქალაქ შვედტში მდებარე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისთვის ყაზახური ნავთობის მიწოდების საკითხი განიხილეს. ბუნდესტაგის დეპუტატი დაინტერესდა, თუ რამდენად სტაბილური იქნება ყაზახური ნავთობის გადაქაჩვა რუსულ მილსადენ „დრუჟბით.“

„ყაზმუნაიგაზის“ ხელმძღვანელმა კრისტიან გიორკეს დაუდასტურა, რომ რუსული „დრუჟბით“ გერმანიაში ყაზახური ნავთობის ექსპორტისთვის „სახელშეკრულებო და ტექნიკური საკითხები“ მოსაგვარებელია. მაგზუმ მირზაგალიევი ამბობს, რომ „ყაზმუნაიგაზი“ იანვრისთვის გერმანიაში ნავთობის საცდელ პარტიას სწორედ ყაზახეთის პრეზიდენტის მითითებით გადაიზიდავს.

20 დეკემბერს რუსული „ტრანსნეფტის“ პრეზიდენტმა, ნიკოლაი ტოკარევმა განაცხადა, რომ კომპანიამ პოლონეთიდან და გერმანიიდან მიიღო განაცხადები 2023 წელს ნავთობის გადაქაჩვის შესახებ. თუმცა გერმანია საპასუხოდ აცხადებს, რომ ეს რუსულს კი არა, ყაზახურ ნავთობს შეეხება და მომავალ წელს ბერლინი რუსული ნავთობის შეძენას არ აპირებს. როგორც გაირკვა, გერმანიამ ყაზახური ნავთობის „დრუჟბის“ მილსადენით იმპორტსა და „ტრანსნეფტის“ სისტემით გადაქაჩვაზე გააკეთა განაცხადი. თუმცა გერმანიასა და ყაზახეთს შორის კონკრეტული შეთანხმება ჯერ არ არსებობს.

ყაზახეთი ატირაუ-სამარას ნავთობსადენით და „დრუჟბის“ გავლით ნავთობის ტრანსპორტირებას რუსულ პორტ უსტ-ლუგამდე ეწევა, შემდეგ კი ტანკერებით გადაიზიდება. ამ მარშრუტით ყაზახეთი 10 მილიონ ტონამდე ნავთობის ტრანზიტს ახდენს, ხოლო ჯამური ლიმიტი 17 მილიონი ტონაა. ამასთან, მილსადენის ექსპლუატაციის უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად, ყაზახეთმა არსებული მარშრუტით მიწოდება შესაძლოა, მხოლოდ 3-5 მლნ ტონით გაზარდოს.

ამდენად, „დრუჟბის“ ლიმიტირებული სიმძლავრის გამო მთავრობამ ნავთობის თუნდაც გერმანიისთვის მისაწოდებლად შესაძლოა, საქართველოზე გამავალი ალტერნატიული მარშრუტი განავითაროს. დეკემბრის ბოლოს სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „ყაზინფორმი“ წერდა, რომ ქვეყნის მრეწველობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მინისტრმა, კაირბეკ უსკენბაევმა 2023 წლის იანვრიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით 1,5 მილიონი ტონა ყაზახური ნავთობის გადაქაჩვა დაანონსა, მაშინ, როცა წელს ეს მოცულობა მხოლოდ 200 000 ტონას შეადგენს. მისი თქმით, ყაზახურ მხარეს გადაწყვეტილი აქვს, აქტაუსა და კურიკის პორტებიდან ტრანსკასპიური საერთაშორისო მარშუტით ნავთობის ტრანსპორტირების მოცულობა წელიწადში 20 მილიონ ტონამდე გაზარდოს. საუბარია არა მხოლოდ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენზე, არამედ ბაქო-სუფსის ნავთობსადენისა და ბაქო-ბათუმის რკინიგზის ამოქმედებაზე, რომლებიც აპრილიდან შეჩერებულია.

„ყაზინფორმს“ აზერბაიჯანის ნავთობის ბაზრის ექსპერტების შეფასებები მოჰყავს, რომ 2023 წლიდან ყაზახეთიდან ბაქოს გავლით, შემდეგ კი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ასევე, ბაქო-სუფსის მილსადენებითა და ბაქო-ბათუმის რკინიგზის საშუალებით წელიწადში არაუმეტეს 8-10 მილიონი ტონა ნავთობის ტრანსპორტირება არის შესაძლებელი.

კერძოდ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი წელიწადში ყაზახეთიდან, არაუმეტეს, 1,5 მილიონი ტონა ნედლი ნავთობის ტრასპორტირებას შეძლებს, ხოლო ბაქო-სუფსის ნავთობსადენის გამტარუნარიანობა შესაძლოა, წელიწადში 5 მილიონი ტონიდან 7 მილიონ ტონამდე გაიზარდოს. ამასთან, საქართველოს შავი ზღვის პორტების მიმართულებით სარკინიგზო ტრანსპორტით არაუმეტეს 2 მილიონი ტონა ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირება არის შესაძლებელი.

„ყაზახეთისა და აზერბაიჯანის განზრახვის გათვალისწინებით, გააფართოვონ ტანკერების ფლოტი კასპიის ზღვაში და ბაქო-თბილის-ჯეიჰანის სიმძლავრე დღეში 1,2 მილიონი ბარელიდან 2,2 მილიონ ბარელამდე გაზარდონ, ბაქოს გავლით ნავთობის მნიშვნელოვანი მოცულობის გადაზიდვის ზრდა მეტად პერსპექტიულია,“ - წერს სააგენტო.



„შენ დრო დააბი უკვდავების სადარ მდელოზე“

„შენ დრო დააბი უკვდავების სადარ
მდელოზე,
ეტოლმეტები „ლილეოს“ და თავად
„ჩაკრულოს“,
საფლავდაკარგულ ფიროსმანის
საქართველოზე,
მილურსმულო და ქრისტესავით
ჯვარზე გაკრულო...

ამონარიდი მარინე ცხვედიაშვილის ლექსიდან „ადამის საჩუქარი ჯემალ კუხიაშვილს“.

„ჩემთვის სურათი მკაფიოა და ფილოსოფიურ დატვირთვას არ ემსახურება. მე ისე ვხატავ, როგორც გარე სამყარო მკარნახობს. ვიცი, ჩემს სეანსს მაყურებელი შეუერთდება და როგორც დაამცირებს, ისევე აღიარებს. ბრუნავს წისქვილის ქვა და წისქვილშივე წყდება ვინ, როდის და როგორ მიიტანა საფქვავი. ამიტომ დღემდე მიყვარს წისქვილში გაბლანდული ობობას ქსელები, მუდამ ამ ქსელში ვარ გახვეული. ჩემი სეანსი პორტრეტის ხასიათს უფრო ეყრდნობა. შეიძლება ითქვას, ქურდი კაჭკაჭივით ვიპარავ მის მზერაში ჩაღვრილ სიხარულსა და მწუხარებას. არასდროს ვიცი ბოლო შედეგი, ნოეს კიდობანისა არ იყოს, სად გამრიყავს გადარჩენისა და დამკვიდრების გაუნებელი სურვილი” - ამბობს ჯემალ კუხალაშვილი.

ის 1980-90-იანების ქართულ სახვით ხელოვნებას წარმოადგენს, სადაც მრავალფიგურულ ტილოებში საქართველოს სოციალური რეალობა მოზაიკური პრინციპითაა შეკავშირებული. გროტესკით, ინტენსიური ფერებით, ქაოსით, ყოფით-ურბანული სცენებით წარმოიქმნება ახალი კომპოზიციური წესრიგი. შორი ხედით, ტილოებში გამოსახულ ფიგურათა პირობითობა აბსტრაქტულ ფერწერასთან ავლენს კავშირს. მხატვრის სახვითი ენა ერთგვარი ფარდაგის განცდას ბადებს, ფერადოვნებისა და ფიგურათა რითმული გადანაწილების თვალსაზრისით. ამ სახვითი ხერხებით მიღებული ქაოტური შთაბეჭდილება მკაფიოდ წარმოაჩენს 1990-იანი წლების საქართველოს გარდამტეხ და მწვავე სოციო-პოლიტიკურ მოვლენათა ჯაჭვს.

18 დეკემბერს ქართველი თანამედროვე მხატვრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო და გამორჩეული წარმომადგენლის, ჯემალ კუხალაშვილის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა და ახალი ალბომის „მე კუხალა“ პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიება გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, მაყვალა გონაშვილმა. გამოფენის ფარგლებში დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ მხატვრის შემოქმედებას და პირადად მიელოცათ მისთვის 70 წლის იუბილე.

ჯემალ კუხალაშვილი გახლავთ სახელმწიფო პრემიისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი და „ქართული კულტურის რაინდის“ წოდების მფლობელი. მისი შემოქმედების გამორჩეულ ხელწერას, მისი ღრმა შინაგანი სამყარო, საოცარი ფერთა გამა და თემების მრავალფეროვნება ქმნის. ღონისძიებას, მონვეულ სტუმრებთან ერთად, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი დოხტურიშვილი, მოადგილესთან კახა კობერიძესთან და საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა. პროექტის ავტორი და საიუბილეო საღამოს ორგანიზატორი და წამყვანი გახლდათ ჩვენი თანამემამულე, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი მაყვალა გონაშვილი, რომელმაც იუბილარს დავით აღმაშენებლის პრემია და ოქროს medალი გადასცა.

გაზეთი „შირაქი“ და დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია ულოცავს გამოჩენილ მხატვარს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ბატონ ჯემალ კუხალაშვილს დაბადების 70 წლისთავს, საიუბილეო წიგნი - ალბომის პრეზენტაციას და პერსონალური გამოფენის გამართვას თბილისის საკრებულოს თამარ მეფის ბრწყინვალე დარბაზში, რომელსაც უფრო მეტ ხიბლს სძენდა მისი ნამუშევრები. გისურვებთ უამრავ წარმატებასა და შემოქმედებით წინვლას საყვარელ საქმიანობაში. კიდევ მრავალჯერ გაგეხარებინოთ თქვენი გულშემატკივრების გულები!

კარიკატურის საერთაშორისო კონკურსი

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ნიკო ფიროსმანის 160 წლისადმი მიძღვნილი გამოფენა, კატალოგის პრეზენტაცია და საერთაშორისო კონკურსის - „ნიკო ფიროსმანი და მისი შემოქმედება“ – გამარჯვებულ მხატვარ-კარიკატურისტთა დაჯილდოება გაიმართა.

კარიკატურის პირველ საერთაშორისო კონკურსზე ასევე მონაწილეობდა წარმატებული მხატვარი **დავით პოპიაშვილი**, რომელიც წარმოშობით დედოფლისწყაროდანაა. ის ასევე ცნობილი მხატვრის, ავთანდილ პოპიაშვილის ვაჟია.

დავით პოპიაშვილმა დაამთავრა ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, შემდეგ კი თბილისის სამხატვრო აკადემია. სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი, დაზგური ფერწერის რესტავრაციის სპეციალობა. 1995 წლიდან მხატვართა კავშირის წევრია, 2020-22 წლებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში სპექტაკლების „ოტელო“ და „მაკნატუნა“ დამდგმელი მხატვარია. 2018 წელს ყოფილ საბჭოეთის ქვეყნების ხელოვნების ფესტივალზე გერმანიის დედაქალაქ ბერლინში პირველი ადგილი დაიკავა.

დავით პოპიაშვილი: „დედოფლისწყაროდან მაქვს ფესვები. პაპაჩემი მირზაანიდან იყო, ბებია ზემო მაჩხაანიდან, მამაჩემი კი დედოფლისწყაროში დაიბადა და გაიზარდა. სანამ ბებია ცოცხალი იყო, ხშირად ჩამოვდიოდი, ახლა იმდენად ვეღარ ვახერხებ... მაგრამ ბიძა და ნათესავები ახლაც დედოფლისწყაროში ცხოვრობენ. ზალიკო სულაკაურმა პირადად მომიწვია კარიკატურის პირველ საერთაშორისო კონკურსზე. რადგან საერთაშორისო კონკურსი იყო, სხვადასხვა ქვეყნიდან მონაწილეობდნენ უცხოელი მხატვრები. მინისტრი და ხელისუფლების სხვა წევრები ესწრებოდნენ. კონკურსს კარგი გამოხმაურება ჰქონდა, მისი დასრულების შემდეგ კულტურის სამინისტრომ კატალოგი დაბეჭდა, სადაც საუკეთესო ნამუშევრებია ასახული. პრიზი არ მიმიღია, სერტიფიკატი გადმომცეს და ჩემი ნამუშევარი შეტანილია ამ კატალოგში. ძალიან კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ ფესვები დედოფლისწყაროდან მაქვს, მანამდე ფიროსმანი დახატული არ მქონია. მაგრამ, ზალიკო სულაკაურმა იცოდა, რომ ღვინის სერია მქონდა დახატული. ნინო ანანიაშვილს და მიხეილ სააკაშვილს დავუხატე ღვინის თემატიკაზე ნამუშევრები და ეს საკონკურსო ნამუშევარიც, სადაც ფიროსმანს ქვევრთან სძინავს. კონკურსის თემატიკას რომ მორგებოდა. ჩემს შემოქმედებაზეც ბევრი შეიძლება ითქვას, სხვადასხვა მიმართულებით ვმუშაობ. ძირითადი, რა თქმა უნდა, გამოფენები და შემოქმედებითი საქმიანობაა, თეატრის გაფორმებებზეც ვმუშაობ. იმის გამო, რომ ღვინის თემატიკაზე ხშირად ვმუშაობ, ბევრი შეკვეთა იყო, როცა ეტიკეტები გაფორმდა ჩემი ნამუშევრებით“ - უთხრა „შირაქს“ დავით პოპიაშვილმა.



როგორც სამინისტროში „შირაქს“ განუცხადეს, პროექტის მიზანია დიდი მხატვრის წარმოჩენა და მისი შემოქმედების თანამედროვე ჭრილში გააზრება. პროექტის საწყის ეტაპზე გამოცხადდა კონკურსი. მის მონაწილე მხატვრებს ათდღიანი სამუშაო ვადა ჰქონდათ, რომლის ფარგლებშიც უნდა შეექმნათ ნიკო ფიროსმანის ან მისი პერსონაჟების კარიკატურა. შესრულებულ ნამუშევართან ერთად, უნდა წარმოედგინათ ერთწუთიანი ვიდეო, სადაც ისაუბრებდნენ, თუ რა შთაგონება მისცა მათ ფიროსმანის ნამუშევრებმა და, ზოგადად, რას ნიშნავს ფიროსმანის არსებობა სამყაროსთვის.

საერთაშორისო კონკურსში 32 ქვეყნის 132 ნამუშევარი მონაწილეობდა. გამარჯვებულ ხელოვანებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები - 1000, 700 და 500 ევროს ექვივალენტი ლარში. პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ალბომი, რომელშიც 91 მხატვრის ნამუშევარია წარმოდგენილი.

კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, მიმდინარე წელს ფოლკლორის ცენტრის დარბაზს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და განახლებული სივრცე კარიკატურის საერთაშორისო კონკურსის დაჯილდოების ცერემონიალით გაიხსნა.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 27 აპრილს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი - „ქართული კარიკატურის ხელშეწყობა“. მისი მიზანი გახლდათ: საქართველოში სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრის - კარიკატურის - ტრადიციების აღორძინება, კარიკატურის ჟანრში მომუშავე ხელოვანთა წარმოჩენა - მათი ნამუშევრების გამოფენა. კონკურსისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი 50 000 ლარს შეადგენდა. კულტურის სამინისტრომ სამივე განმცხადებლის („ვქმნით შარჟს“ - ბესიკ დუღაშვილი; „ქართული კარიკატურის ბიენალე“, - დავით თოთიბაძე; „შალვა ქიქოძის სახელობის კარიკატურის ფესტივალი“,) პროექტი დააფინანსა.

ილია მარტყოფლიშვილი

ანსამბლ „ქიზიყის“ ჯილდო და კიდევ ერთი პერსპექტივა

ახალგაზრდა შემოქმედთა ფედერაციამ „ოქროს გუნდი“ სიღნაღი-დედოფლისწყაროს ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ქიზიყის“ ხელმძღვანელს თამაზ ღვალაძეს ჯილდო „ოქროს არწივი“ გადასცა და ზაფხულში დაგეგმილ „ოქროს ორდენზე“ წარადგინა. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ანსამბლი საუკეთესო ათეულშია. ოქროს ხალიჩის ცერემონია 13-14 მაისს ჩატარდება და მონაწილეობას მიიღებენ ოქროს ორდენოსანი ქორეოგრაფები, რომელთაგან რჩეულები კიდევ დაჯილდოვდებიან.

თამაზ ღვალაძე: (**ქორეოგრაფი**): „ეს ორგანიზაცია რეგიონებში მოგზაურობს და ანსამბლებს არჩევს. სწორედ ასე ჩამოვიდნენ ჩვენთან და რეპეტიციებზე დაგვესწრნენ. სიღნაღიდან და დედოფლისწყაროდან ის ბავშვები ნახეს, რომლებიც ანსამბლში ცეკვავენ. როგორც ჩანს, მათი მოწონება დავიმსახურეთ და ჯილდო გადმომეცა. არწივი სიმბოლოა იმისა, რომ სხვადასხვა რეგიონის ძლიერ ანსამბლებთან ერთად მიწვეული ვართ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე, რაც თავისთავად გამორჩეული მოვლენაა, სასიამოვნო და ამავდროულად საპასუხისმგებლოა ჩვენი ანსამბლისთვის. ამასწინათ ქორეოგრაფთა კავშირმა გადმომცა „ამაგდარი ქორეოგრაფის წოდება“, ახლა კი ამაგდარის ორდენზე ვარ წარდგენილი“, ვეცდებით მთელი ძალისხმევა ჩავდოთ და კიდევ უფრო წარმატებული გამოსვლა გვქონდეს, რომ იქიდანაც ჯილდოთი დავბრუნდეთ“.

ლიკა ჯანანაშვილი (ფედერაციის პიარის ხელმძღვანელი): „წელს ეს ანსამბლი ჩვენი შუამდგომლობით საერთაშორისო ფესტივალზე გაემგზავრა. ჩვენი უცხოელი პარტნიორებისგან მივიღეთ შეფასება, რომ საოცარი შედეგი აჩვენეს. ჩვენ ვერ მოვახერხეთ თურქეთში გაყოლა და ამის გამო კახეთში ჩამოვედით და მათი რეპეტიცია ადგილზე ვნახეთ. გვინდოდა შემოქმედებითი პროცესი გვენახა. სიმართლე გითხრათ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს. საკმაოდ წელში გამართული ანსამბლი დაგვხვდა და გვქონდა პატივი გვეცნობებინა, რომ „ოქროს ხალიჩისა“ და „ოქროს ორდენზე“ წარდგენის სრულუფლებიანი წევრები არიან. მაისში საქართველოს 10 საუკეთესო კოლექტივის დაჯილდოება მოხდება და უკვე რჩეული ანსამბლებია წარდგენილი. გეპატიჟებით ყველას და თავად დარწმუნდებით ამაში.“

მათე ბაღაშვილი: „არბოშიკში მეხუთე წელია თამაზი მასწავლებელი გვამეცადინებს, მომწონს ქართული ცეკვა და დიდი მონდომებით ვვარჯიშობ. კმაყოფილი ვარ ამ ანსამბლში მოხვედრით. ფედერაციის მხრიდან ამ ჯილდოს გადმოცემა დიდი სტიმული აღმოჩნდა ჩემთვის და შემართებით ვემზადები, უფრო მეტი ენერგიით ველოდები კონკურსზე გამგზავრებას“.

ილია მარტყოფლიშვილი

როგორი იყო 2022 წელი ვაშლოვანის ნაკრძალისთვის

დაცული ტერიტორიების დაცვა-პატრულირება

2022 წლის იანვრიდან დაცვის განყოფილების თანამშრომლებმა ტესტირების რეჟიმში დაიწყეს ტერიტორიების „სმარტ პატრულირება“. საანგარიშო პერიოდში რეინჯერებმა განახორციელეს 1160 საპატრულო გასვლა. რეინჯერების მიერ საპატრულო მარშრუტებზე განვლილმა მანძილმა შეადგინა 5250 კილომეტრი. სამანქანე საპატრულო ჯგუფის მიერ **(GA-119-PA)** საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 62 საპატრულო გასვლა, ავტომანქანით გავლილმა მანძილმა შეადგინა 97800კმ. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორის მერაბ ფიროსმანაშვილის მიერ ჩატარდა 24 მოულოდნელი რეიდი. პატრულირების არსებული მონაცემები გასული წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით გაზრდილია 10%-ით.

სამართალდარღვევების სტატისტიკა

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე 2022 წლის განმავლობაში შედგენილია 17 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

- **უკანონო ჭრა – 2**
- **უკანონო ძოვება – 15**

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე აღწერილია 600 მცენარის სახეობა, მათ შორის 28 კავკასიის და 5 საქართველოს ენდემი, საქართველოს „წითელი ნუსხის“ 13 სახეობის მერქნიანი მცენარე. აქ გავრცელებულია ძუძუმწოვრების 62, ფრინველის 135, ქვეწარმავალის 30, თევზების 20 და ამფიბიების 4 სახეობა. მათ შორის - „წითელი ნუსხის“ 34 სახეობის ცხოველი, მათგან ძუძუმწოვრების 10, ფრინველების 20 და რეპტილიების 4 სახეობა. გვხვდება ასევე კავკასიის ენდემური სახეობები.

2022 წლის მონაცემებით ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ქურციკების რიცხოვნობამ 300 ინდივიდს გადააჭარბა.

მცენარეთა დაზიანება

2022 წლის მაისში გამოვლენილი იქნა ღვიის კორომების მასობრივი დაზიანება, გაყვითლდა და გახმა წიწვოვანი საფარველის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ პრობლემის შესახებ შესაბამისი შეტყობინება გაიგზავნა დაცული ტერიტორიების სააგენტოში. მაგრამ სასიხარულო ფაქტია, რომ აგვისტოს დასაწყისიდან ღვიის ხეებიდან დაიწყო გამხმარი წიწვების ცვენა და ახალი წიწივოვანი საფარველის განვითარება. ვაგრძელებთ დაკვირვებას შემდგომ პერიოდშიც.

მონიტორინგი და მავნებლებთან ბრძოლა ხორციელდება ყოველწლიურად მაის-ივლისის თვეებში ადმინისტრაციის ძალებით. რაიმე განსაკუთრებული ბრძოლის მეთოდები, მაგ. შეწამვლა ან სხვა დაცულ ტერიტორიაზე არ განხორციელებულა.

ღონისძიებები

გაიმართა 20 პრეზენტაცია, 7 დასუფთავების აქცია, 6 მოსახლეობასთან თემატური შეხვედრა, 5 ეკოტური, 1 გამწვანების აქცია.

ეკოტურიზმი

2022 წლის განმავლობაში ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს 3844 ვიზიტორი ეწვია, 2021 წელთან შედარებით ვიზიტორების რაოდენობა შემცირდა 3%-ით. ტურისტული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 71355 ლარს. 2021 წელთან შედარებით შემოსავლები გაიზარდა 13%-ით.

განვითარება

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის განვითარებისთვის 2022 წლის განმავლობაში, ისევე როგორც წინა წლებში კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) მიერ მუდმივად ხდებოდა რეინჯერთა საველე კვების, თანამშრომლებისთვის სახელფასო დანამატებისა და დაზღვევის დაფინანსება. ქურციკების მონიტორინგის გაუმჯობესების მიზნით ადმინისტრაციას გადაეცა ერთი ერთეული მაღალი გამავლობის ავტომობილი. დაემატა ექვსი ერთეული მუდმივი შტატი რეინჯერის პოზიციაზე.

2022 წლის განმავლობაში ადმინისტრაციის მიერ მუდმივად ხორციელდებოდა მონიტორინგი ინფრასტრუქტურული ერთეულების მდგომარეობაზე. საჭიროების შემთხვევაში ტარდებოდა სარემონტო სამუშაოები. მიჯნისყურის ბუნგალოებში ვიზიტორებისთვის გაკეთდა, გადაიხურა და შეიღება 3 ახალი საპიკნიკე მაგიდა. ვაშლოვანის დაცვის სადგურზე მდებარე საპიკნიკეს ჩაუტარდა რემონტი. განახლდა ხის კონსტრუქციები და გადაიხურა მეტალოკრამიტით. დასუფთავდა და მოწესრიგდა დათვის ხევის, ვაშლოვანის, კაკლის ყურის, ცენტრალური ბუნგალოების, შავი მთის საპიკნიკეები. გარემონტდა მიჯნისყურის ბუნგალოების სველი წერტილები. არწივის ხეობის ბუნების ძეგლზე განახლდა ბარიერები და საინფორმაციო დაფების სტიკერები. დასრულდა არწივის ხეობის საფეხმავლო ბილიკის მოწყობა. ვაშლოვანის ეროვნულ პარკსა და მის მიმდებარედ დამონტაჟდა 175 ერთეული გზის მანიშნებელი.

როგორ აფასებენ ტურიზმში დასაქმებული ადამიანები 2022 წელს?

მანანა ყატაშვილი, დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის თავმჯდომარე: „მიიწურა 2022 კალენდარული წელი და დადგა დრო ცხოვრების და საქმიანობის განვლილი პერიოდის გადახედვისა. მართლაც, როგორი იყო განვლილი წელი დედოფლისწყაროსთვის და მისი ტურიზმისთვის, დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის წევრებისთვის?

დედოფლისწყაროში ტურიზმის და ზოგადად, ბიზნესის, მათ შორის, აგრარული სექტორის განვითარებას ძალიან დაეხმარება **UNESCO**-ს გადაწყვეტილება დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის სტატუსის შესახებ, ასევე - მიმდინარე პროცესი სამუხის დაცული ტერიტორიის დაარსებისა. ძალიან სასარგებლო საქმე კეთდება ხორნაბუჯის გზის რეაბილიტაციით, ქალაქის ცენტრში მდებარე თამარ მეფის სკვერის მოწესრიგებით და სხვა. რა თქმა უნდა, რეგიონების განვითარების პროგრამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ჩვენი ქალაქის იერსახეს და გააფერადებს მოსაწყენად ნაცრისფერ გარემოს. ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის რეაბილიტირებული საგამოფენო დარბაზი (ნიკალას ორიგინალებით) და კეთილმოწყობილი ეზო გახდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სავიზიტო ბარათი ქართველი და უცხოელი სტუმრებისთვის.

განვლილი წელი ნაყოფიერი იყო ჩვენი ასოციაციის განვითარება-გაძლიერების მიმართულებითაც. მართალია, პანდემიის რთული წლების შემდეგ ვიზიტორთა რიცხვის განსაკუთრებული ზრდა არ ყოფილა, მაგრამ ეს დრო გამოვიყენეთ ახალი ტურისტული პროდუქტების შესაქმნელად, არსებულის ხარისხის გასაუმჯობესებლად. 2021-2022 წლებში ჩვენი ესტონელი მეგობრების - ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციის დახმარებით შემუშავდა და დაინერგა ტურისტული პროდუქტის ხარისხის კრიტერიუმები.

ახლა ჩვენს წევრებს უკვე აქვთ საშუალება, შეაფასონ თავიანთი ბიზნესი, დასახონ გაუმჯობესების გეგმა და კრიტერიუმების გარკვეული პროცენტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მომართონ ასოციაციის საბჭოს „კარგი მასპინძლის“ ხარისხის ეტიკეტის და სერტიფიკატის მისაღებად. რაიონში ხარისხის ეტიკეტის მფლობელი ბევრი ობიექტის არსებობა ხელს შეუწყობს ვიზიტორთა მოზიდვას და ტურისტული და მომიჯნავე ბიზნესების განვითარებას, ასევე-ახალი ბიზნეს-იდეების განხორციელებას.

თანამედროვე ტურიზმი, განსაკურებით, აგროტურიზმი და შემოქმედებითი ტურიზმი, ისეთი ბიზნესია, რომ წინდების მქსოველი დიასახლისი, სოფელში მცხოვრები მეფუტკრე თუ ქათმის მცირე საოჯახო ფერმა, ხილის თუ ყვავილების კარგი ბაღი სწორი „შეფუთვით“ და მარკეტინგით შეიძლება გახდეს წარმატებული ტურისტული ობიექტი. ამის შანსი დღეს დედოფლისწყაროში ბევრ ადამიანს აქვს: მცირე ფერმერებს, საოჯახო მარნებს, თონეებს, თუნდაც ერთი კერძის კარგ კულინარებს, ხელნაკეთი ნივთების მწარმოებელ პირებს, კარგ ფოტოგრაფებს, უცხო ენის მცოდნე ახალგაზრდებს და სხვა.

თანამედროვე ტურიზმი არის მრავალფეროვანი და ფართო სექტორი, ღირებულებათა ჯაჭვი, რომელიც მოიცავს წარმოებას, სტუმარ-მასპინძლობას, კვებას, განთავსებას, ტრანსპორტით მომსახურებას, ასევე აერთიანებს კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განზომილებებს. ასოციაცია ყველა მსურველს ჰპირდება რჩევებით დახმარებას, თავისი წევრების ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებით.

2023 წელს დაგეგმილია ტრენინგები ასოციაციის წევრებისთვის სხვადასხვა პრაქტიკულ თემაზე და ხარისხის სერტიფიკატის მქონე ბიზნესების გამოცდილების ურთიერთგაცვლა ესტონეთის ანალოგიურ ობიექტებში. ეს პროექტი განსაკურებულად უჭერს მხარს ქალებს და ახალგაზრდებს ბიზნესის წამოწყება-განვითარებაში.

საქართველოს და სხვა ქვეყნების მონათესავე პროფილის ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესაძლებლობები გამოჩნდა ბერლინში გერმანიის საერთაშორისო განვითარების პროგრამის (GIZ) ფარგლებში ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში ასოციაციის მონაწილეობისას. დამყარდა საქმიანი სამომავლო კონტაქტები უკრაინულ, მოლდოვურ, სომხურ და გერმანულ ორგანიზაციებთან.

იმედით ვუყურებთ რაიონის ტურიზმის მომავალს. ვფიქრობთ, მომავალ წელს გაგრძელდება რაიონის სხვადასხვა ობიექტის კეთილმოწყობის სამუშაოები. გვექნება მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამედროვედ მოწყობილი საგამოფენო დარბაზი უნიკალური ექსპონატებით, ქალაქის ცენტრში და ტურისტულ ატრაქციებზე კეთილმოწყობილი და მოვლილ-ნაპატრონები საზოგადოებრივი ტუალეტები, ელიას მონასტრის სუფთა და მოწესრიგებული ეზო, რაც გაზრდის მონასტრის და ტაძრის შემოსავალს და სხვა ახალი ობიექტები ვიზიტორების მოსაზიდად.

დასასრულს, გვინდა ყველა დედოფლისწყაროელს მივულოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი, ოპტიმიზმით სავსე წელიწადი და ახალი ბიზნეს-იდეების განხორციელება ვუსურვოთ!“

თეო სეხნიაშვილი ***(„თეოს კოტეჯები“):*** „პანდემიის შემდეგ ეს პირველი სამუშაო წელი იყო. ჩვენი სტუმრების უმეტესობა სპონტანურად, გრძელვადიანი დაგეგმვის გარეშე მოგზაურობდა, რადგან პანდემიის გამო რთული იყო წინასწარი გათვლა. გვაქვს მოლოდინი, რომ 2023 წელს უფრო მეტი ტურისტი იქნება. წელს არასრულყოფილი სეზონი იყო **პანდემიის რისკებიდან გამომდინარე. საშუალო დატვირთვით ვიმუშავეთ, მომავალში უკეთესის იმედი გვაქვს. საბოლოოდ, 2022 წელს არ ვემდურით, წინა წლებს ნამდვილად სჯობდა და გამოცოცხლება შეინიშნება.** უმეტესობა იყო ნიდერლანდელი, მეორე ადგილს გერმანელები იკავებენ, შემდეგ ფრანგები, პოლონელები, ბელგიელები და ამერიკელები არიან. მიმაჩნია, რომ დედოფლისწყაროში მომსახურების სფეროს სერვისები გაუმჯობესდა, მაგრამ ყოველ წელს საჭიროა სწავლა, განვითარება, წინსვლა, და სიახლეების დანერგვა. საჭიროა მომსახურების სფეროში დასაქმებულმა თითოეულმა ადამიანმა გაიაროს თეორიული ტრენინგები აღნიშნულ სფეროში, რაც გაცილებით გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს. ეს კი მნიშვნელოვანია, რათა ბევრი კმაყოფილი სტუმარი გვყავდეს“.

გოდერძი გონაშვილი ***(„გონაშვილის მარანი“):*** „სააგენტოებიდან და ტურ-ოპერატორებისგან წელს არცერთი ჯგუფი არ მყოლია. ძირითადად, შემთხვევით ჩამოსული სტუმრები მყავდა. გერმანიიდან იყო რამდენიმე ოჯახი, საფრანგეთიდან, პოლონეთიდან, იყვნენ რუსულენოვანი სტუმრებიც. ზოგი ავტომანქანებით მოდიოდა, ზოგიც ზურგჩანთით. რაც ომი დაიწყო და საქართველოს ნაკადი მოაწყდა, ეს სიმრავლე არ ასახულა ჩვენზე. ვფიქრობ, ეს სხვა კატეგორია იყო და რეგიონებში ტურისტულ ობიექტებს ნაკლებად ესტუმრნენ. გასულ წელს რომ შევადარო, ვფიქრობ ერთიდაიგივე სურათია, მკვეთრად განსხვავებული ვითარება არ ყოფილა. 2-3%-იანი ზრდა შეიძლება იყოს, მეტი მატება არ ყოფილა. საბოლოო ჯამში, 2022 წლით კმაყოფილი არ ვარ! ჩემი ბიზნესი, ფაქტობრივად, გაჩერებული იყო. მე ორიენტირებული ვარ ტურისტების მიღებაზე და კარგად მახსოვს პანდემიამდე პერიოდი. 2018-19 წლებში ძალიან ხშირად ვმასპინძლობდი 20-30 კაციან ტურებს, დიდი ავტობუსებით მოდიოდნენ, სააგენტოებთან მქონდა კავშირი, ისინი ჯავშნიდნენ წინასწარ და ჩამოყავდათ სხვადასხვა ქვეყნის ჯგუფები. ახლა ეს ყველაფერი დაიკარგა, სააგენტოებიც წუხან ამაზე, რომ აღარ შემოდის ტურისტი. ბევრი მიზეზი და ფაქტორია, რამაც ეს ვითარება მოიტანა. ომიც ხელს უშლის, პანდემიაც, მომავალი წლიდან, ალბათ, უფრო საგრძნობლად მოიმატებს სტუმრების რიცხვი. მომავლის იმედით ვცოცხლობთ. ისიც სათქმელია, რომ საბაზრო ფასები ბევრად გაზრდილია. ამიტომ, ხელახლა დასათვლელია ყველაფერი, იმ ფასებში ვეღარ შეძლებ სტუმრის მასპინძლობას, რაც აქამდე იყო“.

რატი ტოკლიკიშვილი, („ვილაჯიო“ -ს თანადამფუძნებელი): „სასტუმრო 2022 წლის 14 მაისს გავხსენით და ამ მცირე დროში ათასობით სტუმარს ვუმასპინძლეთ. **სტუმრების დიდი უმრავლესობა იყო ქართველი, თუმცა, გვყავდა უცხოელი სტუმრებიც.** მათ შორის ყველაზე ხშირად გვსტუმრობდნენ უკრაინელები, გერმანელები და არაბები. ჩვენთვის ყველაზე დიდი მოტივაცია ისაა, რომ სტუმრების 96% აღფრთოვანებულია, როგორც ჩვენი სასტუმროს მომსახურებით, ასევე, მირზაანის ხედებით. ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა სტუმრების რაოდენობამ შემოდგომაზე, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ზაფხულისთვის მეტ დამსვენებელს ველოდით. თუმცა, აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ზაფხულში რესტორანში გვყავდა ძალიან ბევრი სტუმარი გარშემო მდებარე სოფლებიდან და ქალაქებიდან. ფიროსმანის მუზეუმში ამჟამად რესტავრაციაა და გატანილია ნიკალას ორიგინალი ნახატები. რეალურად ჩვენთან დედოფლისწყაროს რომელიმე ღირსშესანიშნაობის, მაგალითად, მუზეუმის სანახავად არავინ მოსულა, ძირითადად სიღნაღის სანახავად ჩამოსული დამსვენებელი მოდის, ან ისინი ვინც ბუნების წიაღში მშვიდ გარემოს ეძებს, განტვირთვისა და დასვენებისთვის. ამ ეტაპზე ძალიან მცირეა ტურისტების წილი, მთლიანობაში დაახლოებით 10–15%. მუზეუმი რომ განახლდება და გაიხსნება, ვფიქრობთ, ეს მაჩვენებელი გაიზრდება. მომავალ წელს მეტ დამსვენებელს ველოდებით, რადგან დღითიდღე იზრდება კმაყოფილი სტუმრების რაოდენობა, ისინი რეკომენდაციას გვიწევენ. ამასთან, სასტუმრო კომპლექსში ვამატებთ დახურულ აუზს და უამრავ სხვა მომსახურებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი სტუმრისთვის“.

გვერდი მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

2022 წლის მოვლენები, რომლებმაც თავი დაგვამახსოვრეს

2022 წელი რამდენიმე თვალსაზრისით იყო დრამატული. ომიდან კრიზისებამდე და ცვლილებების მოთხოვნით აჯანყებამდე, მსოფლიომ ეს ყველაფერი გაიარა. წელი, რომელიც ჩვენ უკან დავტოვეთ, არ იყო ისეთი, რომლის გახსენებას მსოფლიო სიამოვნებით ისურვებდა. უკრაინაში ომი დაიწყო; ბრიტანეთში კი ეკონომიკური, პოლიტიკური და ფინანსური კრიზისი , შრი-ლანკის სასოწარკვეთილმა ხალხმა მრავალთვიანი ტანჯვის შემდეგ პრეზიდენტი ჩამოაგდო; ირანელებმა თავიანთი სიცოცხლე საფრთხის წინაშე დააყენეს მჩაგვრელი მთავრობის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვის ფასად; სოციალური მედიის ნაცნობი კომფორტი „გაფუჭდა“ მას შემდეგ, რაც ილონ მასკმა სოციალური ქსელი Twitter „დაიპყრო“.

გარდაიცვალა დედოფალი ელიზაბეტ II, ბრიტანეთის ყველაზე დიდი ხნის მონარქი.

მილიონობით ადამიანი გლოვობდა ბრიტანეთში - და მთელ მსოფლიოში - როდესაც 8 სექტემბერს შოტლანდიაში, ბალმორალის ციხესიმაგრეში, 8 სექტემბერს გარდაიცვალა დედოფალი ელიზაბეტ II, ბრიტანეთის ყველაზე დიდი ხნის მონარქი. მისმა სიკვდილმა დაასრულა გაერთიანებული სამეფოს ისტორიაში ყველაზე გრძელი მეფობა. ელიზაბეტ II, რომელიც დედოფალი გახდა -მამის, მეფე ჯორჯ VI-ის გარდაცვალების შემდეგ, 1952 წლის 6 თებერვალს ავიდა ტახტზე. მეფობდა 70 წლის განმავლობაში, ანუ შვიდი წლით მეტხანს, ვიდრე დედოფალი ვიქტორია. ის 96 წლის იყო და ასაკთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემები აწუხებდა. მისი მეუღლე, პრინცი ფილიპი, ედინბურგის ჰერცოგი, გარდაიცვალა 2021 წლის 6 თებერვალს, ასაკთან დაკავშირებული დაავადებების გამო, მის 100 წლის იუბილემდე ორი თვით ადრე. დედოფალი ელიზაბეტ II ცნობილი იყო, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბრიტანელი მონარქი. მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი უფროსი ვაჟი, ჩარლზი, უელსის ყოფილი პრინცი, მეფედ გამოცხადდა. ის ოფიციალურად ცნობილი იქნება, როგორც მეფე ჩარლზ III. ის ბრიტანეთის ისტორიაში იმ მონარქის მემკვიდრეა, რომელმაც ყველაზე ხანგრძლივად მართა სახელმწიფო. ბრიტანეთის ისტორიაში 73 წლის ჩარლზი იქნება ყველაზე ხანდაზმული ადამიანი, რომელიც მეფე გახდა. მეფე ჩარლზ III-ის კორონაცია 2023 წლის 6 მაისს არის დაგეგმილი.

ეროვნული არჩევნებით ბრაზილია მემარცხენე ხდება

ლუის ინასიო ლულა და სილვამ დაამარცხა ჟაირ ბოლსონარო. შედეგად, ბრაზილიის შიდა პოლიტიკა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში საკმაოდ მიდრეკილი იყო მემარჯვენეებისკენ, კვლავ მემარცხენეობაზე გადადის. გასულ წელს აშშ-ში დემოკრატების გამარჯვების შემდეგ, 2022 წლის 30 ოქტომბერს, ყველაზე გადამწყვეტი მემარცხენეების ლუის ინასიო ლულა და სილვას გამარჯვება იყო, რითაც დასრულდა ულტრამემარჯვენე ლიდერის ჟაირ ბოლსონაროს ვადა. დრამატულად, მაგრამ მაინც, ლულა და სილვამ პატიმრობიდან პრეზიდენტობამდე გზა სულ რაღაც სამ წელიწადში გაიარა. ის 2018 წლის აპრილში კორუფციულ სკანდალში მონაწილეობის გამო გასამართლეს. დაახლოებით ნელიწადნახევრიანი პატიმრობის შემდეგ, ის 2019 წელს გაათავისუფლეს, როდესაც ბრაზილიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, წინა მოსამართლის მიკერძოებულობა და გააუქმა ნასამართლობა. ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საპრეზიდენტო რბოლაში ლულა და სილვამ ბოლსონაროს (49,1%) ხმების 50,9%-ით მოუგო. ის ფიცს ოფიციალურად ოთხწლიანი ვადით 2023 წლის 1 იანვარს დადებს. ლულა და სილვას რთული ამოცანა ექნება, რომ ქვეყანა დაუბრუნდეს თავის გზას.

მსოფლიო მოსახლეობა 8 მილიარდს აჭარბებს

მსოფლიო მოსახლეობამ 15 ნოემბერს 8 მილიარდს მიაღწია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) მონაცემებით, ინდოეთმა ამაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა. ინდოეთმა ფინალურ რიცხვს 177 მილიონი დაამატა. ვინის მაბანსაგი, ტონდოში, მანილაში დაბადებული გოგონაა, რომელიც სიმბოლურ მე-8 მილიარდე ადამიანად მიიჩნევა, სიმბოლურად, რადგან ადამიანების ზუსტი რაოდენობის გამოთვლა ძნელია. მოსალოდნელია, რომ ინდოეთი 2023 წელს მოსახლეობის რაოდენობით ჩინეთს - ყველაზე მეტად დასახლებულ ერს გადაასწრებს. გაერო ამბობს, რომ ჩინეთის წვლილი გლობალური მოსახლეობის მატებაში მომდევნო წელს უარყოფითი იქნება. მსოფლიოს 11 წელი დასჭირდა, რომ მოსახლეობას ერთი მილიარდი ადამიანი შემატებოდა. გაეროს მონაცემებით, ცხრა მილიარდის მიღწევას შეიძლება 15 წელი დასჭირდეს და ორგანიზაცია 2080 წლამდე არ ელოდება ამ მაჩვენებლის 10 მილიარდამდე გაზრდას. 2050 წლამდე მსოფლიო მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი კონცენტრირებული იქნება რვა ქვეყანაში: კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ეგვიპტეში, ეთიოპიაში, ინდოეთში, ნიგერიაში, პაკისტანში, ფილიპინებში და ტანზანიის გაერთიანებულ რესპუბლიკაში. 7-დან 8 მილიარდამდე გაზრდისას, დამატებული მოსახლეობის დაახლოებით 70 პროცენტი იყო დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში. 8-დან 9 მილიარდამდე გაზრდის შემთხვევაში, ეს ორი ჯგუფი, სავარაუდოდ, ზრდის 90 პროცენტზე მეტს შეადგენს-ამბობს გაერო.

COP27 და საეტაპო კომპენსაციის ფონდი

პირველად, განვითარებულმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს აანაზღაურონ ზიანი, რომელსაც „მსოფლიო გადახურება“ აყენებს ღარიბ ქვეყნებს „დაკარგვისა და ზიანის ფონდის“ შექმნით. საეტაპო გადაწყვეტილება ნოემბერში, ეგვიპტეში, შარმ-ელ-შეიხში გაეროს კლიმატის სამიტზე მიიღეს. ინდოეთის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ „მსოფლიო ამას ძალიან დიდხანს ელოდა“. თუმცა, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების დაყენებამ, როგორიცაა, ინდოეთის წინადადება წიაღისეული საწვავის ეტაპობრივი შეწყვეტის შესახებ, მცირე პროგრესი აჩვენა. ეს იყო დიდი გამარჯვება ღარიბი ქვეყნებისთვის, რომლებიც დიდი ხანი ითხოვდნენ ფულს (კომპენსაციას), რადგან ისინი ხშირად ხდებიან კლიმატის ცვლილებით გამოწვეული დამანგრეველი ნყალდიდობების, გვალვების, სითბური ტალღების, შიმშილისა და ქარიშხლების მსხვერპლნი. G77-მა და ჩინეთმა (ინდოეთი ამ ჯგუფის ნაწილია), ნაკლებად განვითარებულმა ქვეყნებმა და პატარა კუნძულოვანმა სახელმწიფოებმა წამოაყენეს წინადადება ზარალისა და ზიანის ფონდის დაარსების შესახებ. კონფერენცია შეთანხმდა შექმნას „გარდამავალი კომიტეტი“, რომელიც გადაწყვეტს, როგორ გამოიყოფა თანხა და ვინ შეიტანს ფონდში თანხებს. მისი რეკომენდაციები მომავალ წელს COP28-ზე იქნება განხილული.

ილონ მასკი ყიდულობს Twitter-ს

იურიდიული ბრძოლის შემდეგ მილიარდერმა ილონ მასკმა, საბოლოოდ, ოქტომბერში, 44 მილიარდ დოლარად იყიდა „Twitter“-ი. ექსცენტრიულმა ბიზნესმაგნატმა ტვიტერზე კონტროლი 28 ოქტომბერს აიღო, მას შემდეგ, რაც გაათავისუფლა მისი მთავარი აღმასრულებლები, აღმასრულებელი დირექტორი პარაგ აგარვალი, ფინანსური დირექტორი ნედ სეგალი და იურიდიული პოლიტიკის, ნდობისა და უსაფრთხოების ხელმძღვანელი ვიჯაია გადე. შემდეგ დაიწყო „Twitter“-ის უბედურებათა და დაპირისპირებებით აღსავსე ახალი ისტორიის წერა. შეძენის დასრულების შემდეგ მასკმა ტვიტერში დაწერა: „დაე, კარგი დრო დადგეს“ და „ჩიტი გათავისუფლდა“. თუმცა, „Twitter“-ის თანამშრომლებმა ჯერ კიდევ ვერ დაინახეს ის „კარგი დრო“, რადგან მასკმა მათი გათავისუფლება დაიწყო. ზოგიერთი ცნობით, ის აპირებდა თანამშრომლების 75%-ის გათავისუფლებას მაშინაც კი, როდესაც მათ, კომპანიის შესაძლო გაკოტრებით ემუქრებოდა. მან თანამშრომლებს ზეგანაკვეთურად მუშაობა მოსთხოვა, გაართულა „Twitter“-ის ლურჯი ტიკის ავტორიზაციის მიღების პროცედურები, მასზე საფასურის გადახდის გამოცხადებით. მას შემდეგ, რაც ირწმუნებოდა, რომ ის სიტყვის თავისუფლების მომხრე იყო, აღადგინა ულტრამემარჯვენე პოლიტიკოსების ანგარიშები, როგორიცაა აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, ხოლო ჟურნალისტების ანგარიშები დაბლოკა ბუნდოვანი საბაბით. თუმცა, „Twitter“-ის მომხმარებელთა გამოკითხვის შემდეგ, მან აღადგინა ეს ანგარიშები. მას შემდეგ, რაც მასკმა სოციალური ქსელი „ხელში ჩაიგდო“, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიო შეაჩერა, რადგან სულ უფრო მეტი ადამიანი ტოვებს მიკრობლოგის საიტს, უკმაყოფილო ამა თუ იმ მიზეზების გამო.

დიდ ბრიტანეთს პირველ ინდური წარმოშობის პრემიერი ჰყავს

დიდ ბრიტანეთს ყველაზე დრამატული 2022 წელი ჰქონდა - საყვარელი დედოფალი დაკარგა და ერთ წელიწადში სამი პრემიერ-მინისტრი გამოიცვალა. დრამა დაიწყო იმით, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი 7 ივლისს სკანდალების წყების შემდეგ გადადგა. ლიზ ტრასი დასახელდა კონსერვატიული პარტიის ახალ ლიდერად დიდხნიანი ბრძოლის შემდეგ. ინდოელი წარმოშობის დეპუტატი რიში სუნაკი კი მეორე ადგილზე გავიდა. ლიზ ტრასმა პასუხისმგებლობა 6 სექტემბერს აიღო გადასახადების შემცირების გრანდიოზული დაპირებებით, მაგრამ ყველაფერი მალევე დაღმასვლით წავიდა. გადასახადების შემცირების პოლიტიკის ვერდაუფინანსებლობის წყალობით, ბევრი დეპუტატი მის წინააღმდეგ გამოვიდა. ჩაძირული გემის გადარჩენის სასოწარკვეთილი მცდელობისას ტრასმა გაათავისუფლა მისი სანდო თანაშემწე კვასი კვარტენგი - საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის განუხორციელებლობის გამო. თუმცა, გემის გადარჩენა ვერ მოხერხდა და საბოლოოდ, ტრასი ოქტომბერში გადადგა. როგორც იყო მოსალოდნელი, სუნაკმა მოიგო კონსერვატიული პარტიის ლიდერობის რბოლა დაუპირისპირებლად და ფიცი დადო 25 ოქტომბერს, მას შემდეგ რაც მეფე ჩარლზ III-მ მიიწვია მთავრობის შესაქმნელად. როდესაც დიდმა ბრიტანეთმა ახალი პრემიერ-მინისტრი აირჩია, ინდოეთმა ყველაზე მეტად გაიხარა, რადგან სუნაკი გახდა დიდი ბრიტანეთის პირველი პრემიერ-მინისტრი ინდური წარმოშობით. ის ასევე გახდა ქვეყნის პირველი ფერადკანიანი ლიდერი მას შემდეგ, რაც აირჩიეს კონსერვატიული პარტიის ხელმძღვანელად დივალის საღამოზე. გარდა ამისა, 42 წლის ასაკში, სუნაკი გახდა ბრიტანეთის ყველაზე ახალგაზრდა პრემიერი 1812 წლიდან დღემდე.

ირანის აჯანყება ჰიჯაბის ტარების წინააღმდეგ

ირანის ისლამური რესპუბლიკის ლიდერებმა 1979 წლიდან არსებული მმართველობის შემდეგ პირველად, 2022 წელს მიიღეს ყველაზე ხმამაღალი პროტესტი ქვეყანაში არსებული განუკითხაობის გამო. ირანში საპროტესტო აქციები 16 სექტემბრის შემდეგ მძვინვარებს, როდესაც ქვეყნის ყბადაღებულმა მორალურმა პოლიციამ მოკლა 22 წლის ქურთ-ირანელი ქალი მაჰსა ამინი, ჰიჯაბის არასწორად ტარების გამო. ისლამურმა რესპუბლიკამ საპროტესტო აქციებს „არეულობა“ უწოდა და დემონსტრანტებს უსაფრთხოების ძალები დაუპირისპირა. ირანელები გამოდიოდნენ სოციალური, კლასობრივი და ეთნიკური მოწოდებებით: „ქალები, სიცოცხლე, თავისუფლება“. ბევრმა ქალმა საჯაროდ თმა შეიჭრა - ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლისა და მაჰსა ამინის პატივსაცემად. ოსლოში დაფუძნებული ირანელების უფლებადამცველი ჯგუფის თანახმად, გამოსვლების დაწყებიდან ირანულმა ძალებმა სულ მცირე 448 ადამიანი მოკლეს. მომიტინგეებმა გამარჯვება მოიპოვეს, როდესაც ირანმა დეკემბრის დასაწყისში მორალის პოლიცია გააუქმა. ირანში იმედოვნებენ, რომ ეს პროტესტი შეიძლება იყოს უფრო დიდი რევოლუციის საწინდარი, რომელსაც შეუძლია ირანის რეპრესიული მთავრობის დამხობა.

სი ძინპინის რეკორდული მესამე ვადა ხელისუფლებაში

ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინპინმა 23 ოქტომბერს თავისი ადგილი ისტორიაში გაიმყარა როგორც ერის ყველაზე გავლენიანმა ლიდერმა მაო ძედუნის შემდეგ. მას შემდეგ რაც ხელახლა აირჩიეს უპრეცედენტო მესამე ვადით ჩინეთის კომუნისტური პარტიის (CPC) გენერალურ მდივნად და, სტანდარტულად, ქვეყნის პრეზიდენტად. 69 წლის სი ძინპინი გახდა CPC-ის პირველი ლიდერი დამფუძნებლის მაო ძედუნის შემდეგ, რომელიც ხელახლა აირჩიეს მესამე ვადით, ჩინეთის სამუდამო მმართველობის პერსპექტივით. სი ძინპინის მესამე ვადით ჩინეთის პრეზიდენტად, CPC-ის ლიდერად და სამხედრო მეთაურად, უვადოდ მმართველობის პერსპექტივით არჩევა, შემაშფოთებელია, რადგან ერთპარტიული სახელმწიფო თანდათან იქცევა ერთლიდერიან სახელმწიფოდ. ძინპინის აღზევებასთან ერთად, ასევე გაიზარდა ჩინეთის საომარი მოქმედებები აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებთან, მათ შორის ინდოეთთან. ინდონეზიაში გამართულ G20-ის ბოლო სამიტზე, ის კანადის პრემიერ-მინისტრ ჯასტინ ტრიუდოს დაუპირისპირდა. სულ ახლახან ჩინურმა ძალებმა სცადეს ინდოეთის ტერიტორიაზე-არუნაჩალ-პრადეში შეჭრა. მსოფლიო და განსაკუთრებით ინდოეთი სუნთქვაშეკრული უყურებს, როგორ განვითარდება ჩინეთში მოვლენები 2023 წელს.

შრი-ლანკის მცხუნვარე ეკონომიკური კრიზისი

შრი-ლანკის ეკონომიკური კრიზისი ძირითადად COVID-19-ის პანდემიის შემდეგ დაიწყო. დაახლოებით 2021 ხლის შუა პერიოდიდან, ეკონომიკური მდგომარეობა შრი-ლანკისთვის გართულდა. ინფლაციის მატებასთან ერთად საწვავი და გაზი სულ უფრო ძვირი და ძნელად მოსაპოვებელი ხდებოდა. მთავრობამ დაამტკიცა იმპორტზე აკრძალვები. ქვეყანაში საპროტესტო აქციების დაწყების შემდეგ, სკოლები დაიკეტა, ძირითადი საკვები პროდუქტები უბრალო ადამიანებისთვის მიუწვდომელი იყო და ელექტროენერგიის ხანგრძლივი შეწყვეტა ნორმად იქცა. შრი-ლანკის ექიმების თქმით, სიცოცხლისთვის აუცილებელი მედიკამენტებიც კი თითქმის ამოწურული იყო. ათასობით ადამიანი მოითხოვდა მაშინდელი პრეზიდენტის გოტაბაია რაჯაპაქსას გადადგომას, რომლის მთავრობაც ქვეყნის ფინანსების მუდმივ არასწორ მართვაში იყო ბრალდებული. საბოლოოდ, 9 ივლისს, მომიტინგეები შეიჭრნენ რაჯაპაქსას სახლში და გადადგომამდე აიძულეს იგი ქვეყნიდან გაქცეულიყო. ქვეყნის ახალი პრეზიდენტი რანილ ვიკრემესინგე გახდა.

COVID პანდემია საბოლოოდ დასრულდება

სამი წლის შემდეგ, რაც COVID-19 გამოჩნდა, სექტემბერში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ პანდემიის დასასრული უკვე გამოჩნდა. ბევრმა ქვეყანამ გახსნა საზღვრები, მოხსნა მოგზაურობაზე შეზღუდვები და გააუქმა შესაბამისი საკარანტინო ზომები. ეს შესაძლებელი გახდა წარმატებული ვაქცინების და თერაპიული მკურნალობის შედეგად. ვაქცინა ამცირებს COVID-ით გარდაცვალების შანსს. გარდა ამისა, მსოფლიო მოსახლეობამ ვირუსისგან დაცვის იმუნიტეტი უკვე გამოიმუშავა. ამ ტენდენციის ერთადერთი გამონაკლისი იყო ჩინეთი. იგი ატარებდა და ატარებს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას. 2022 წლის ბოლოს, ჩინელმა ხალხმა დაიწყო აჯანყება იმის წინააღმდეგ, რასაც ჩინელი ოფიციალური პირები „დიდ წარმატებას“ უწოდებდნენ. დეკემბერში პეკინმა დაიწყო COVID-19 შეზღუდვების შემსუბუქება. თუმცა, მას არ ჰქონდა შემუშავებული საკუთარი მაღალეფექტური ვაქცინა, უარი თქვა უაღრესად ეფექტური დასავლური ვაქცინების იმპორტზე და მოსახლეობა შედარებით მცირე დაცვის მქონე ვაქცინებით აცრა.

მსოფლიო ინფლაცია

2022 წელს მთელ მსოფლიოში ინფლაცია გაიზარდა. ფასების მატება გამოწვეული იყო მოთხოვნისა და მიწოდების საკითხების კომბინაციის დისბალანსით. მიწოდების მხრივ, ჯერ კოვიდმა და შემდეგ რუსეთის შეჭრამ უკრაინაში შეაფერხა გლობალური მიწოდების ჯაჭვი, რამაც დეფიციტი შექმნა საქონლის ფართო სპექტრში. ფასების მატებამ „გააფუჭა“ პოლიტიკა როგორც მდიდარ, ისე ღარიბ ქვეყნებში, რადგან ლიდერები ცდილობდნენ საზოგადოების მზარდი აღშფოთების განეიტრალებას. ინფლაციის მთავარ „წამლად“ საპროცენტო განაკვეთების გაზრდა მოიაზრებოდა. ამის გაკეთება მიწოდების ჯაჭვის შეფერხებების მოსაგვარებლად არაეფექტურია და შეიძლება რეცესია გამოიწვიოს. აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა და სხვა ცენტრალური ბანკები იმედოვნებენ, რომ „რბილი დაშვების“ პოლიტიკა გამოსავალი იქნება შექმნილი სიტუაციიდან. მაშინაც კი, თუ ისინი წარმატებას მიაღწევენ, მაღალი საპროცენტო განაკვეთები უკვე ქმნის დავალიანების კრიზისს მრავალი ღარიბი ქვეყნისთვის.

რუსეთის შეჭრა უკრაინაში

2022 წლის ყველაზე მნიშვნელოვან მსოფლიო მოვლენად, რა თქმა უნდა, რუსეთის შეჭრაა უკრაინაში. ნატოს წევრებთან უკრაინის მზარდი სიახლოვის გამო რუსეთმა 24 თებერვალს დაიწყო ის, რასაც „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“ უწოდა, „უკრაინის დემილიტარიზაციისა და დენაციზაციის“ მიზნით. არავინ ელოდა, რომ უკრაინა ძალიან დიდხანს გაუძლებდა რუსეთის თავდასხმას, მაგრამ თითქმის ერთი წელი გავიდა და ის კვლავ იბრძვის. მართლაც, მან გაათავისუფლა დაპყრობილი ტერიტორია (ხარკოვი და ხერსონი) და უკან დააბრუნა რუსული ძალები, რითაც მოსკოვი აიძულა კიევის აღების გეგმები უკუეგდო. ომის გამო, მსოფლიო ებრძოდა მიწოდების შეფერხებებს, ფასების შოკს და საკვების დეფიციტს.

მოიტანს თუ არა 2023 უკეთეს ამბებს? გვჯეროდეს და იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალი წელი ნამდვილად იქნება მშვიდობის, სიკეთის, სიყვარულისა და სასიხარულო ამბების მომტანი წელი. მომავალ ამბებამდე.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

შირაქის სკივრი

1947 წლის დეკემბერი

○ სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ რვა შვილის დედა ლიზა თეთვაძე დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა. 2 ვაჟისა და 6 ქალიშვილის დედას 240 შრომადღე აქვს გამომუშავებული. კოლმეურნეობაში 1935 წლიდან მუშაობს. იმ რგოლმა სადაც მრავალშვილიანი დედა მუშაობს გეგმები ფადაჭარბებით შეასრულა. ეჭვი არ არის, რომ ამომრჩევლები ხმას ერთსულოვნად მისცემენ და იგიც მონდომებით ჩადგება ხალხის სამსახურში.

○ ვეჯინის კოლმეურნეობის ღვინის წერტის გამგე ნიკა სიმონიშვილი კარგა ხანია წითელწყაროში „მოღვაწეობს“. იგი ცნობილია, როგორც ყოვლად უპატიოსნო მოვაჭრე. თავისი უმსგავსო მოქმედებით სახელს უტეხს კოლმეურნეობას. მის ხელში საუკეთესო ღვინო ყოვლად უხეირო, ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ წყლად გადაიქცევა. მთელი მისი ვაჭრობა ასეთი ფაქტებით არის სავსე. წითელწყაროში მრავალი ღვინის წერტია. არც აქ არის ღვინო დაზღვეული „მონათვლისგან“, მაგრამ ამ საქმეში რეკორდი მაინც სიმონიშვილს ეკუთვნის. უფრო საკვირველი ის არის, რომ მომხმარებლის დაცინვა და მოტყუება რაივაჭრობის თვალწინ ხდება და ის ამას „ვერ ამჩნევს“. საკოლმეურნეო ვაჭრობის გამყალბებლები, საკუთარი ჯიბის გამსქელებლები, უსინდისო მოვაჭრენი, საკოლმეურნეო წერტიდან დაუყოვნებლივ უნდა აილაგმონ.

○ არბოშიკელი კოლმეურნეები მოღლილნი ღამე მოსვენებას მიეცნენ და ტკბილად დაიძინეს. მაგრამ არ ეძინებოდათ მეურმეებსა და საველე საწყობის გამგეებს. ბოროტი განზრახვა არ ასვენებდათ და ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ. მათ საველე საწყობის გამგე ა. ბაღაშვილთან შეთანხმებით 5 ტომარა ხორბალი 505 კგ კოლმეურნეობას მოჰპარეს და მიითვისეს. ნაწილი ღვინოზე გაცვალეს და დიდრონი ჭიქებით ერთმანეთს ლოცავდნენ. მაგრამ ბოროტ კვალს საგამოძიებო ორგანოებმა მალე მიაგნეს და ქურდები პასუხისგებაში მისცეს. მათ 12-10-8 წლით შრომაგასწორების ბანაკში მოთავსება მიესაჯა, ქონების კონფისკაციით.

○ წითელწყაროს მტს-ის კომკავშირელი ტრაქტორისტი ამხ. ლ. გონაშვილი სრულიად უპასუხისმგებლობას იჩენს დაკისრებული მოვალეობისადმი. საშემოდგომო მუშაობის დამთავრების შემდეგ თავისი ტრაქტორი მინდვრად უპატრონოდ მიატოვა და თითქმის სამი კვირა არ მოიკითხა. როცა ტრაქტორი მტს-ში მიიტანეს, გაძარცვული აღმოჩნდა. გონაშვილმა კიდევ ერთი დანაშაული დაუმატა და რემონტზე სამუშაოთ არ გამოცხადდა. მტს-ის კომკავშირულმა ორგანიზაციამ უდისციპლინო კომკავშირელს სათანადო უნდა მიუზღოს

○ უყურადღებობის გამო ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის მემინდვრეობის №4 ბრიგადაში ორი ხარი მოკვდა. ბრიგადის ბრიგადირი გ. ნატროშვილი სრულიად უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავისზე დაკისრებულ მოვალეობას. არ არის დისციპლინა და ვისაც როგორ უნდა ისე იყენებს მუშა-საქონელს. მაგრამ ხარების სიკვდილის გამო ჯერაც არავის მოუთხოვია მისთვის პასუხი. მის უყურადღებობას მიეწერება ისიც, რომ მან „მლაშე ხევის“ ნაკვეთებში უყურადღებოდ მიატოვა ზიგზაგი ფარცხი, რომელიც მოგვიანებით გარეშე პირების მიერ განადგურებულ იქნა. საინტერესოა, რა ინტერესი აქვს კოლმეურნეობის გამგეობას, რომ ნატროშვილს პასუხს არა სთხოვს?

1966 წლის დეკემბერი

○ ჯერ კიდევ გვყავს ადამიანები, რომლებიც ცდილობენ სხვათა მოტყუების ხარჯზე თითონ გამდიდრდნენ. ზემო ქედის ავეჯის მაღაზიის გამგე-გამყიდველმა ვ. ყოჩიაშვილმა მოატყუა მყიდველი, ზემო ქედში მცხოვრები ნ. ბილანიშვილი. მაგიდასა და ორ საწოლში 35 მანეთით ზედმეტი თანხა გადაახდევინა. წითელწყაროს სახალხო სასამართლომ ა. სეფიაშვილის თავმჯდომარეობით ყოჩიაშვილს დამსახურებული სასჯელი გამოუტანა.

○ ქვემო ქედის კოლმეურნეობამ შირაქში გააშენა ქარსაფარი ზოლები, რომელიც საიმედოდ იცავს ნათესებს ქარისგან. წელს ნერგები კარგად გაიზარდა და გაცილებით მეტი ეფექტი ჰქონდა.



○ სასიამოვნო სანახავია ახლადგაშენებული ნარგავები სოფელ ჯაფარიძეში ტბის გარშემო ფერდობზე. მარადმწვანე მცენარეები კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება მომავალი წლისთვის, როცა ხეები კიდევ უფრო აიყრის ტანს და ზაფხულის მცხუნვარე დღეებში ტბის სანაპიროზე ჩრდილს შეჰქმნის.

1988 წლის დეკემბერი

○ კარგი საქმე გააკეთა წითელწყაროს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციამ იმით, რომ ქალაქში შუქნიშნები განათავსა. რაიკავშირის ადმინისტრაციული შენობის წინ, გზაჯვარედინზე ხშირად ხდებოდა ავტოსატრანსპორტო შემთხვევები. ახლა კი აქ გამაფრთხილებელი შუქნიშანია დაკიდებული.

○ სოფელ არბოშიკში, პატატიშვილის სახელობის სკოლის შენობაში მოშლილია გათბობის ბატარიების თითქმის ნახევარზე მეტი. უმოქმედობის გამო, პატარა ბავშვებს ოჯახებიდან ჩანთით მიაქვთ შეშა, მაგრამ ამ შემთხვევაში კვამლის ისეთი კორიანტელი დგება კლასებში, ერთმანეთს ვერ გაარჩევთ. სასწრაფოდ უნდა მიეხედოს ამ საკითხს, რათა მოსწავლეებს შესაბამისი პირობები ჰქონდეთ.

○ მიწისძვრით გამოწვეულმა უბედურებამ დანგრეული სახლკარი მიატოვებინა კიროვაკანელ ნატალია არუთინიანს. იგი საბათლოში ჩამოვიდა შვილებთან ერთად. დანარჩენი ახლოლები დაეღუპნენ. ერთხელ ნატალია წითელწყაროში ამოვიდა სურსათ-სანოვაგის შესაძენად. საშინელი უბედურებით ჯერ კიდევ გაოგნებულ ქალს ხელჩანთა დარჩა. გამყიდველმა ნათელა ჯამალაშვილმა როგორც კი შენიშნა ხელჩანთა, ნაპოვნი წითელწყაროს მილიციის განყოფილებაში წარადგინა. მასში აღმოჩნდა, ფული, ოქროს საათი სამაჯურით, მამაკაცისა და ქალის ბეჭდები. რამდენიმე საათში შეშინებულმა ქალმა მილიციის განყოფილებას მიაკითხა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაირკვა, რომ ნივთები იქ ინახებოდა და უკლებლივ ჩაბარდა.

(სტილი დაცულია)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

ბერად აღკვეცა სამთაწყაროში

სამთაწყაროს მამათა მონასტერში ბერად აღკვეცა ჩატარდა. როგორც გაზეთ „შირაქს“ ეპარქიაში განუცხადეს, მორჩილი იაკობი აღიკვეცა და ეწოდა ბერი იოანე. პროცესს ეპარქიის დროებითი მმართველი, მიტროპოლიტი

თეოდორე ჭუაძე ესწრებოდა, რომელმაც ახლადაღკვეცილი ბერი დალოცა. მეუფე ამ დღისთვის სპეციალურად ჩამობრძანდა. აღკვეცა შეასრულა ტაძრის წინამძღოლმა იაკობმა.

ერისკაცობაში იაკობ თეთრაული მანამდე არხილოსკალოს ტაძრის მრევლი იყო, რადგან ის ამ სოფლიდანაა. შემდეგ სამი წლის განმავლობაში სამთაწყაროს ტაძარში მორჩილი იყო. სამთაწყაროს ტაძარს დღევანდელი მონაცემებით 3 ბერი: ბერი ეგნატე (ლობჯანიძე), ბერი გიორგი (ფაილოძე), ბერი იოანე, ერთი მღვდელ-მონაზონი ნოე დანელია და ერთიც წინამძღვარი - იღუმენი იაკობ ჩაგუნავა ჰყავს.

უკიდურეს საზღვრისპირა სოფელში ქრისტიანული ტაძარი არასოდეს ყოფილა. მშენებლობის პროცესი ახლა მიმდინარეობს. მეუფე დიმიტრის კურთხევით, ქეთევან დედოფლის სახელობის ეკლესია შენდება სპეციალურად შერჩეულ ადგილზე, რომელიც პატრიარქმა მონიშნა და 1989 წელს აკურთხა.

საბავშვო თოჯინური სპექტაკლი ზემო ქედში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა თოჯინების სპექტაკლი დადგეს. საინტერესო აქტივობაში II და IV კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. თოჯინების თეატრი სახელწოდებით „მეგობრობა მზეა“ პედაგოგ მზევინარ ოღაძის ხელმძღვანელობით მომზადდა.

„მეგობრობაზე არაერთი მოთხრობა, ლექსი, ზღაპარი, გამონათქვამი ვისწავლეთ, თუმცა საჭიროდ ჩავთვალე მოსწავლეთა მეტი ჩართულობისა და დაინტერესებისათვის დაგვედგა თოჯინების თეატრი. ერთად წავიკითხეთ მოთხრობა „სოკოს ქვეშ“ როლებში და შემდეგ შევთავაზე, გაგვეკეთებინა სინთეზური სპექტაკლი - „მეგობრობა მზეა“. მინდოდა, მეგობრობაზე გამემახვილებინა ყურადღება. ბავშვებმა თავად აირჩიეს და მოირგეს პერსონაჟის როლები, ხალისით და ინტერესით ჩაერთვნენ დეკორაციის დამზადებაში. როგორც პირველი წარმოდგენა, ვფიქრობ, ძალიან კარგი და საინტერესო გამოვიდა, რადგან თავიანთი შესაძლებლობები გამოავლინეს. მადლობა მინდა გადავუხადო სკოლის დირექტორს თამარ ნებიერიძეს, მშობლებს და, რა თქმა უნდა, მოსწავლეებს. ვფიქრობ, „დედაენის დღეს“ კიდევ ერთი საინტერესო და აქტუალური თემით წარმოვაჩინო ჩემი მოსწავლეები,“ - უთხრა გაზეთ „შირაქს“ მზევინარ ოღაძემ.

ზემო ქედელი ბავშვები ღონისძიებაში მონაწილეობისთვის სიგელებით დაჯილდოვდნენ.

მგელმა ცხვარი გაანადგურა



დედოფლისწყაროში, მდინარე იორზე ერთ-ერთ მეცხოველეობის ფერმაში, მტაცებელმა 100-ზე მეტი ცხვარი დაგლიჯა, დაკარგულია კიდევ ამდენივე. მეპატრონის თქმით, 21 დეკემბერს გვიან ღამით 10-მდე მგელი ცხვრის ფარას შეესია და გაანადგურა. მწყემსებმა მტაცებლის მოგერიება ვერ შეძლეს.

„ადგილზე გვიან ჩავედი. მწყემსები იყვნენ იქ, ვერაფრით გაყარეს მგლები. ფარაში და ბაკში შევარდნილან და სულ დაუგლეჯიათ. დოლს ველოდებოდით, რაც იმას ნიშნავს, რომ ზარალი კიდევ უფრო იზრდება. 8-10 მტაცებელი ნადირი რომ დაგესხმება თავს, ვერაფერს იზამ. ვეძებთ იმ დაკარგულ ცხვრებს, მაგრამ ვერსად ვპოულობთ. ეს ადგილები იორის მიმდებარედ ე.წ. ჭაჭუნას ტერიტორიაა, სადაც ზამთრის საძოვრებია“, - ამბობს ფერმის მეპატრონე ვაჟა გონაშვილი.

ამას გარდა, დილიჩაზე მდებარე ერთ-ერთი აზერბაიჯანელის ფერმაში მგელმა 40 სულამდე ცხვარი გაანადგურა.

უბედური შემთხვევა ზემო ქედში

უბედური შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. სოფელ ზემო ქედში ავტოსაგზაო შემთხვევას 25 წლის მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. როგორც ზემო ქედში გაზეთ „შირაქს“ ადგილობრივებმა განუცხადეს, შემთხვევა 18 დეკემბერს გვიან ღამით მოხდა. ავტომანქანა, რომელსაც თავად გოგა გოგოჭური მართავდა ხეს შეეჯახა. ის ადგილზე გარდაიცვალა და კლინიკაში გადაყვანის აუცილებლობა აღარ იყო.

თვითმხილველების ცნობით, მამაკაცი ავტომანქანაში მარტო იმყოფებოდა. გარდაცვლილი ოჯახის ერთადერთი შვილია, ის დაოჯახებული არ იყო.

„ამ ადგილს „დაწყევლილ ადგილს“ ვეძახით, ყველა უბედურება მანდ ხდება, არაერთი ახალგაზრდა იმსხვერპლა. გოგა თბილისში მუშაობდა, შაბათ-კვირას სოფელში ჩამოვიდა, დილით ისევ სამსახურში წასასვლელად თბილისში ბრუნდებოდა. საერთოდ არ სვამდა, უჭკვიანესი და ძალიან კარგი ბიჭი იყო, ჩვენს თვალწინ გაიზარდა. თავდაცვაში მუშაობდა“ – ამბობენ ზემო ქედში.

როგორც გაზეთ „შირაქს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

რამდენიმე კვირის წინ ავტოსაგზაო შემთხვევას ასევე ორი მირზაანელი ახალგაზრდა ემსხვერპლა.

2023 წელს შავი კურდღლის წელია და მთავარი სიმბოლო სიმშვიდეს და სტაბილურობას გვპირდება. ასტროლოგების თქმით, შავი კურდღლის წელი თითოეულ ადამიანს გამბედაობასა და სიმამაცეს მიანიჭებს.
ამიტომაც, ნიშანი მშიშრად სრულიად უსამართლოდ ითვლება. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ კურდღელი შესანიშნავი მეოჯახეა. ამიტომ, 2023 წელს ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული ყურადღება ოჯახსა და საყვარელ ადამიანებზე ზრუნვას დაუთმოთ, დაგეგმოთ მათთან ერთად მოგზაურობა და დრო სასიამოვნოდ გაატაროთ. თუ გსურთ, წლის მთავარი სიმბოლო გაახაროთ და მისგან კეთილგანწყობა დაიმსახუროთ, პოზიტიურ განწყობას, თბილ ურთიერთობებს, სხვების მხარდაჭერასა და გამხნევებას დრო დაუთმეთ.

როგორი იქნება 2023 წელი?

ჩინურ ჰოროსკოპში კურდღელი მეოთხე, იღბლიან ადგილს იკავებს. აღსანიშნავია, რომ ჩინური კალენდარი განსხვავებულია და ახალი წელი ამ კალენდრის მიხედვით პირველ იანვარს კი არა, 21 იანვრიდან 21 თებერვლის მონაკვეთში აღინიშნება. 2023 წელი კი 22 იანვარს დადგება და 2024 წლის 9 თებერვალს დასრულდება.

გასათვალისწინებელია, რომ კურდღელს საკუთარი ბუდე, სიმშვიდე უყვარს. ასტროლოგები გვირჩევენ, რომ კურდღლის წლისთვის წინასწარ მოვემზადოთ, ვალები დავფაროთ, სხვადასხვა ვალდებულება შევასრულოთ, გადავიხადოთ გადასახადები, მოვანესრიგოთ დოკუმენტები და ძველი კონფლიქტები მოვაგვაროთ.

კურდღელი ასტროლოგიაში შესანიშნავ დიპლომატად ითვლება. მნიშვნელოვანია, რომ დრო ემოციურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას დაუთმოთ. წლის განმავლობაში კურდღლის დიპლომატიური მიდგომისა და სიმშვიდის გამო ბევრი კონფლიქტის თავიდან არიდება შეგიძლიათ. მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ ნეგატიურ განწყობებს არ დაემორჩილოთ და მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდეთ. ასტროლოგების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ კურდღელი საკმაოდ შრომისმოყვარე ნიშნად ითვლება, ამ წელს განსაკუთრებულ კარიერულ წინსვლას არ უნდა ველოდოთ. ეს ცხოველი ძალიან კარგად აკეთებს უკვე არსებულ და ნაცნობ საქმეებს, მაგრამ ნოვატორობით არ გამოირჩევა.

კურდღელს არ უყვარს სპონტანური გადაწყვეტილებების მიღება. საკმაოდ გონიერი და მონესრიგებული ცხოველია, ამიტომაც ამ წელს შესანიშნავი შესაძლებლობა გაქვთ, რომ ახალი ცოდნა მიიღოთ, პროფესიულად განვითარდეთ. ასტროლოგების თქმით, კურდღლის წელი განსაკუთრებით ხელსაყრელი და წარმატებული იქნება იმ ხალხისთვის, რომლებიც ადამიანებთან მუშაობენ და უფრო ხშირი კომუნიკაცია აქვთ მათთან. ასეთები არიან მაგალითად, მასწავლებლები, იურისტები, ექიმები და ფსიქოლოგები.

ასევე, შავი კურდღელი ახალი ნაცნობებისა და მეგობრების აღმოჩენის თვალსაზრისით, საკმაოდ ნაყოფიერ წელს გვპირდება, რომელიც მომავალში უფრო სერიოზულ კავშირად გადაიქცევა. შესაძლოა, ამ წელს მოულოდნელად ძველი მეგობრებიც გამოჩნდნენ, რომლებთანაც სხვადასხვა მიზეზის გამო ბოლო წლებში არც ისე კარგი დამოკიდებულება გქონდათ. ახლა თბილი ურთიერთობების აღდგენას მოახერხებთ. ასტროლოგები მოზარდების მშობლებს განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოუწოდებენ, რადგანაც არსებობს რისკები, რომ ისინი ცუდ წრეში მოხვდნენ, არასწორი გადაწყვეტილებები მიიღონ და ნეგატიური გავლენის ქვეშ მოექცნენ.

2023 წლის მმართველი შავი კურდღელია. კურდღელი ვეფხვთან შედარებით (2022 წელი შავი ვეფხვის წელია) მშვიდი ცხოველია, მაგრამ ბედნიერ და უღრუბლო წელს არავინ გვპირდება. ცნობილია რამდენიმე საიდუმლო, რაც ყველა უსამოვნების გადალახვაში დაგეხმარებათ.



2023 წელს არაფერი გადადოთ ხვალისთვის, მომავლისთვის. ყველაფერი უნდა გააკეთოთ დღეს. ბედნიერი ადამიანები არასდროს მისტირიან წარსულს. წარსული წარსულში უნდა დატოვოთ. არ გაიხსენოთ უსიამოვნებები, დღეს თქვენ საუკეთესო დღე გაქვთ. დღეს შეგიძლიათ ყველაფერი უკეთესობისკენ შეცვალოთ. თუ ხშირ-ხშირად გაიხედებით წარსულისკენ, ბედნიერების შეგრძნებას დაკარგავთ.

აკეთეთ ის, რაც კარგად გამოგდით.

ნაკლები დრო დახარჯეთ მეორე და მესამეხარისხოვან საქმეებზე და მეტი დრო დაუთმეთ მართლა მნიშვნელოვან საქმეებს, იმას, რაც წარმატებას მოგიტანთ თქვენ და თქვენს ოჯახს. 2023 წელს დროის ტყუილად ფლანგვა არავის ეპატიება. დრო აჩქარდა და თუ არ გინდათ ჩამორჩეთ, დროს ფეხი უნდა აუწყოთ.

2023 წლის თილისმა კურდღელი – ფუმფულა, მოსიყვარულე და ოჯახური ნიშანია. უყვარს სიმყუდროვე და სიმშვიდე. ამიტომ, შავი კურდღლის გავლენის პერიოდში, არ უნდა ველოდოთ სერიოზულ ძვრებს. ის სიამოვნებით აასრულებს ისეთ სურვილებს, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახსა და პირად ურთიერთობებთან. ეს ნიშანი დაგეხმარებათ კარიერასთან და საქმიანობასთან დაკავშირებული მიზნების რეალიზებაში. თუმცა, ამ ყველაფერზე გათვლა შეუძლიათ მათ, ვინც ოჯახზე ზრუნავს. კურდღელი ეხმარება ასევე მათ, ვინც ცდილობს კომფორტი შეიქმნას ცხოვრებაში. ასეთ ადამიანებს 2023 წელს ამის შესაძლებლობა მიეცემათ.

ულოცავენ!

ნანა აფციაურს!

ძვირფასო ნანა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლების სულო და გულო, პატივსაცემი და პროფესიონალიზმით გამორჩეული მერაბ ფიროსმანაშვილის ერთგულო და მოსიყვარულე მეუღლევ, გულწრფელად გილოცავთ დაბადების დღეს - 26 დეკემბერს.

საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით; ნანა ჭიჭინაძე, ივერი ჟუჟულაშვილი, თამაზ ჯანიკაშვილი, ზურა თეთვაძე, ჯემალ კვანჭილაშვილი, მაყვალა მამულაშვილი, მაყვალა ჯორკოშვილი, ავთო ჯანაშვილი.

რა გველოდება ახალ 2023 წელს?

ვანგას პროგნოზი

ბულგარელი წინასწარმეტყველის მიმდევრები კვლავ შიფრავენ მის მესიჯებს. ნათელმხილველმა დაინახა კაცობრიობის ორი მთავარი უბედურება. ეს არის დედამიწის ორბიტის ცვლილება და აფეთქება ატომურ ელექტროსადგურში. თუმცა ამ ატომური ელექტროსადგურის ადგილმდებარეობის დადგენა ვერ მოხერხდა. ორბიტის ცვლილება გამოიწვევს კლიმატის ცვლილებას. სტიქიური უბედურებები გახშირდება და დედამიწაზე ცხოვრება სრულიად განსხვავებული გახდება.

ნოსტრადამუსის პროგნოზები

ფრანგმა წინასწარმეტყველმა ასევე საშინელი წინასწარმეტყველება გააკეთა. მან დაინახა ფასების ზრდა ყველა ქვეყანაში, სამხედრო კონფლიქტები და მრავალი ადამიანის დაღუპვა. პოლიტიკურ ასპარეზზე ვითარება დაძაბული იქნება. ამავდროულად, ადამიანები დაზარალდებიან სტიქიური უბედურებებით.

ვოლფ მესინგის პროგნოზი

ნათელმხილველმა 2023 წლის პროგნოზები გააკეთა ორი სახელმწიფოს - რუსეთისა და შეერთებული შტატების კონტექსტში. უფრო მეტიც, ის იყო პირველი, ვინც ინინასწარმეტყველა განვითარება და გაძლიერება საერთაშორისო ასპარეზზე. მესინგს მიაჩნია, რომ ხელსაყრელი პერიოდი 2022 წლის ბოლოს დაიწყება. მმართველებს შეეძლებათ განავითარონ რეფორმები, რომლებიც გააუმჯობესებს ხალხის ცხოვრებას და გააძლიერებს სახელმწიფოს ავტორიტეტს მის საზღვრებს გარეთ.

ამინდი

	ორშაბათი 26.12	სამშაბათი 27.12	ოთხშაბათი 28.12	ხუთშაბათი 29.12	პარასკევი 30.12	შაბათი 31.12	კვირა 01.01
	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე	დღე / ღამე
	6° / –3°	3° / –4°	4° / –3°	4° / –3°	3° / -4°	3° / -4°	3° / -4°

დედოფლისწყარო

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი